ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

!№ 2 !§ ლტრტვ,ტპბ7 )!§

1295 (6606)

აფცბ5 №) სტსპბ

## რაულ ხაჯიმბა: ენგურჰესი აფხაზეთს ეკუთვნის!“

გვ.3





## აკაკი ბობოხიძე ნოდარ ხადურს: 140 ლარად როგორ ყიდულობდით წყვილ კალოშს?“

გვ. 3

'ჯოhიუფციუე გაhიგებებზე საუბhისას მოიჯითხონ ,,ნაცების~ ის წევhები, hომლებიც ხელისუფლებაში ცალ-ცალი ჯალოშით მოვიდნენ და ჯახგად ხედავთ, ახლა hით დადიან~.



## შალვა ოგბაიძე: სითი პარკი სააკაშვილის დატოვებული ნაღმია“

როგორ მოვაგვაროთ თბილისური საცობები

გვ.2





გვ.4

## ეკა გიგაური: შსს-ს რეფორმირება ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა“

## ლიბერთი ბანკმა“ მშობელთა ხიდს“ ოცნება აუხდინა



გვ.6

ძალიან მიხარია, რომ „ლიბერთი ბანკმა“ შეძლო, მოკრძალებული წვლილი შეეტანა არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდის“ მიერ ინიცირებული პროექტის განხორციელებაში, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღის ცენტრის რეაბილიტაციას.

## რას წერს ნაციონალური მოძრაობის“ ნეპოტიზმზე ჟურნალისტი პოლ რიმპლი?

გვ.5

ISSN 1987-9385

# შალვა ოგბაიძე: სითი პარკი სააკაშვილის დატოვებული ნაღმია“

## როგორ მოვაგვაროთ თბილისური საცობები

თამარ ნინიძე

**თბილისის ერთ-ერთი პრობლემა რომ საავტომობილო საცობებია, ეს ყველამ კარგად იცის. საკრებულოს ფრაქცია 'დემოკრატიული მოძრაობის~ წევრი შალვა ოგბაიძე 'ახალ თაობას~ ამ პრობლემის მოგვარების გზებზე ესაუბრა.**

***— ბატონო შალვა, ცოტა ხნის წინ სატრანსპორტო სამსახურთან გქონდათ მძიმე საუბარი. კონკრეტულად რას ეხებოდა ეს შეხვედრა და რა ეშველება თბილისურ საცობებს?***

— მივესალმები „ახალი თაობის“ მკითხველებს. თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მესვეურებთან შეხვედრა მქონდა. ეს იყო მძიმე, მაგრამ საქმიანი საუბარი. საცობების თემაზე ჯოხის გადატეხა თბილისის ტრანსპორტის სამსახურზე არასწორია. საცობი ტექნიკური სლენგია, რომელიც ასოცირდება გარკვეული სატრანსპორტო ან გზის დაცობასთან, როცა იქ ნაკადი უკვე ვეღარ გადის. მოძრაობის ორგანიზებასთან შეხება აქვს არა მხოლოდ საქალაქო სამსახურს, არამედ ეს არის ხარვეზი მენეჯმენტში თბილისის მოძრაობის სფეროში. ეს არის საკრებულოსა და მერიის ახალი შემადგენლობის უპირველესი გამოწვევა.

ერთია, საცობი რომ იქმნება და მეორეა საცობისგან გამოწვეული ლოკალური კრიზისის მართვის მენეჯმენტი. ასეთი ტიპის სამსახური დედაქალაქს არ აქვს, არადა, მისი შექმნა აუცილებელია. ამას ვთავაზობთ მერიას. ეს არის ევროპული გამოცდილების გაზიარება — იმ სამსახურების შექმნა, სადაც იქნება ოპერატიული და კოლეგიალური გადაწყვეტა პრობლემებისა.

***— როცა თქვენი ინიციატივები შესთავაზეთ, საქალაქო სამსახურიდან რა პასუხი მიიღეთ?***

— ძალიან კარგი კომუნიკაცია მაქვს ქალაქის მერთან, ბატონ დავით ნარმანიასთან და ვიცემერ ალექსანდრე მარგიშვილთან. დაგვპირდნენ, რომ უახლოეს დროს შევხვდებით და დეტალებზე დავილაპარაკებთ. ეს გადავადებას ვერ მოითმენს. თუ ასე გაგრძელდება, თბილისი გახდება საავტომობილო ჯუნგლების ქვეყანა. ერთ დიდ სატრანსპორტო კოლაფსში ჩავეფლობით. უახლოეს ხანს მედიის დახმარებით გვინდა, ჩვენი ინიციატივები და კონცეფცია გავაცნოთ საზოგადოებას, უნდა შევთანხმდეთ, როგორ ვითანაარსებოთ ქვეითებმა და მძღოლებმა, თბილისის საქალაქო სამსახურებმა ისე, რომ ერთმანეთს ნერვები არ დავაწყვიტოთ, არ მივიღოთ ისეთი ურბანული სიმახინჯეები, როგორიც სპორტის სასახლის გარშემო აშენდა, ყიფშიძის ქუჩაზე, ვერაზე, მთაწმინდაზე და ასათიანის ათ ნომერში. მე ვერ მოვისმინე, რა უნდა ვუყოთ ყოფილი სასტუმრო „აჭარის“ მოედანს. სირცხვილია, რომ დედაქალაქის ცენტრში, შუა მოედანზე, არსებობს საჯარიმო მოედანი და ავტოსადგომი.

წინა ხელისუფლების მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიყიდა ეს მოედანი. ვერ იხეირა იმან, ვინც იყიდა. ვერ იხეირა



ვერც მერიამ და ვერც რიგითმა თბილისელებმა. ამ მოედნის გაუქმება კატეგორიულად არ შეიძლებოდა. ეს მოედანი დედაქალაქს უნდა დაუბრუნდეს.

ასათიანის ქუჩაზე სკვერს სკვერის ფუნქცია უნდა დაუბრუნდეს. მერს მოვუწოდებ მეტი გაბედულებისკენ, რომ არც ბიზნესი დაზარალდეს და სკვერები და მოედნები შეუნარჩუნდეს თბილისს. ერთი ავტომანქანის გაჩერება იწვევს ორსაათიან სატრანსპორტო კოლაფსს.

***— სითი პარკზე რას იტყოდით?***

— ეს სითი პარკი არის „უნიკალური“ მოვლენა. სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს მისი საქმიანობა. პანდუსებიც კი არ გააკეთა, მისი ინვესტიცია იყო ორი კასრი თეთრი საღებავი და ფუნჯი, ტროტუარის პარალელურად გაავლო წყვეტილები და მორჩა. არავითარი ვალდებულება არ აჰკიდეს. მრავალსართულიანი ავტოპარკები უნდა გაეკეთებინა როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა, სადგომები, ბონუსსისტემაში ჩართვის საკითხი რომ დაენერგა ამ პარკირებისა. სითი პარკი კარგა ხანია გასულია ჩვენი მომსახურების ზონიდან. ცუდად დაამთავრებს, გული მიგრძნობს. სააკაშვილის მიერ დატოვებული ნელი მოქმედების ნაღმია. რაც მალე დამთავრდება ეს მარაზმი, რომელსაც სითი პარკი ჰქვია, კარგი იქნება. ნაცმოძრაობასთან ერთად უნდა დამთავრდეს სითი პარკიც.

***— ესტაკადის გაკეთება პუშკინის ქუჩაზე უკვე გადაწყვეტილია?***

— საკრებულოში აქტიურად განიხილება მომავალი წლის ბიუჯეტი. ბევრი სადავო საკითხი გვაქვს ჩვენ, როგორც ოპოზიციურ პარტიას, კითხვის ნიშნებს არ იწვევს ის თანხა, რომელიც ამ ესტაკადის მშენებლობისთვის არის გამოყოფილი. ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით.

***— სადგურის მოედნიდან გმირთა მოედნის მიმართულებით რომ გადაადგილდება ტრანსპორტი, იქ მუდმივი საცობებია, განსაკუთრებით, პიკის საათებში, ასევე სადღესასწაულო დღეებში. როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?***

— ამჟამად ამ თემაზე არავინ მუშაობს, გარდა პრაქტიკოსებისა და თქვენი მონა-მორჩილისა. პიკის საათებში სანაპიროდან მარჯვნივ, გმირთა მოედანზე, ამ ნაკადს გავუშვებდი — რესტორან „არაგვის“ მიმდებარე ტერიტორიას ვგულისხმობ. ეს ნაკადი სამ ნაკადად მიდის და საცობი ჩნდება. ეს უკავშირდება იმ შეცდომას, რაც არის ამ ტერიტორიის გასხვისება. ერთი ზოლი იქ გასათავისუფლებელია. როგორც კი სამზოლიანი გახდება, მომავალი ნაკადი არ ავა იქ, წავა ჩელუსკინელების ხიდის ქვეშ და მარჯვნივ ამოუხვევს გმირთა მოედანზე, აქედან კი იპოვის თავის წასასვლელ ადგილს. გამოსავალი არსებობს, ქრონომეტრაჟის ჩატარება სჭირდება. ამას თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ გადაწყვეტს. ბლეფია და თავის მოტყუება. ეს უნდა გადაწყვიტოს იმ სამსახურმა, რომელსაც დაევალება საცობებთან ბრძოლა, ინფრასტრუქტურულ პრობლემებსა და გრძელვადიან სტრატეგიაზე მუშაობა.

***— ნაციონალების დროს მოდაში იყო ტრამვაის თემაზე საუბარი. მათ უნდა დაებრუნებინათ ტრანსპორტის ეს სახეობა ქალაქში. ამ მხრივ რა მდგომარეობაა?***

— ფრანგულმა ფირმა „სისტრამ“ ჩაატარა ყველაზე კარგი კვლევა, კონცეფციის დონეზე შეიმუშავა ტრამვაის აღდგენის შესაძლებლობა. ამ კონცეფციას უახლოეს პერიოდში, სამწუხაროდ, განხორციელება არ უწერია. სწრაფად არის გადასაწყვეტი შემოვლითი გზის საკითხი. ეს არის სატრანსპორტო კვანძი. შემოვლით გზას ალტერნატივა არ გააჩნია.

***— მძღოლების მიერ მოძრაობის წესების დარღვევასაც მოჰყვება საცობები. ამაზე რას იტყვით?***

— ბევრი ჩვენი თანამოქალაქე სცოდავს. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ ამის შესახებ. არ იციან მართვა. არიან დედაქალაქში ქვეყნის რეგიონებიდან საშოვარზე ჩამოსული ადამიანები, რომლებიც სატაქსო სფეროში საქმდებიან. 60-დან 80 ათასამდე თვითდასაქმებულია ტაქსიზე. თუ ამას დავუმატებთ 3.000 სატრანსპორტო ერთეულს მუნიციპალურს და რუსთავი-თბილისის მარშრუტებს, მძიმე სურათის წინაშე ვართ. ერთ-ერთი მთავარია მძღოლების უდისციპლინობა, კულტურის არქონა. ამისთვის არსებობს კანონი. მანქანის მართვის მიხედვით შემიძლია გითხრათ, ვინ როგორი ადამიანია ცხოვრებაში. ავტოსკოლები მოსპო წინა ხელისუფლებამ, არადა, სწორედ იქ უნდა მიეღო მართვის კულტურა მძღოლს. დღეს მართვის მოწმობას იღებენ ინტერნეტით დაზუთხული რამდენიმე ათეული ბილეთით. ეს კი პრობლემას კიდევ უფრო ართულებს.

# რა მოუტანა საქართველოს რუსეთთან ვაჭრობის განახლებამ?

## რუსი ექსპერტი: „რუსეთის ეკონომიკა კრახისკენ მიდის!“

მარიკა მჭედლიშვილი

**„ქართული ოცნების“ ერთ–ერთი საამაყო თემა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლება იყო, რაც პირველად მოხერხდა 2006 წლის შემდეგ. ღვინისა და ბორჯომის, ასევე ხილის რუსეთში გატანას ისე წარმოგვიჩენდნენ, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო წარმოების განვითარებაც და სავაჭრო ბალანსის სასიკეთოდ შემობრუნებაც, რაც უნდა ასახულიყო კეთილდღეობაზე.**

ლარის კურსის მკვეთრი გაუფასურებისას ანუ ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ, რომ ექსპორტი შემცირებულა, იმპორტი კი გაზრდილა. თუ ღვინის ექსპორტი რუსეთის ხარჯზე სამჯერ გაიზარდა და მეზობელ სახელმწიფოში სხვა პროდუქციაც გადის, მაშინ, რატომ შემცირდა ექსპორტი? თუ ამდენი გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა აგრარულ სექტორში, სად არის მათი პროდუქცია? სად არიან იქ დასაქმებული მოქალაქეები? თუ დიდი რაოდენობით ინვესტიცია შემოდის (ყველაზე მეტი — ჩინეთიდან და აზერბაიჯანიდან), რატომ არის დოლარის ნაკლებობა და რატომ გაუფასურდა ლარი? რატომ შიმშილობენ ადამიანები?

რუსეთთან ვაჭრობის თემას, ბუნებრივია, პოლიტიკური ელფერიც ახლავს. რუსეთი ოკუპანტია. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულად მოიხსენიება. რუსეთი მათთან ახალ საინტეგრაციო ხელშეკრულებებს აფორმებს.

საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოს რუსეთთან არც ეკონომიკური, არც კულტურული ურთიერთობები არ უნდა ჰქონდეს და არ არის საჭირო ამ სახელმწიფოსთან კონტაქტების ძებნა. მეორე ნაწილი რუსეთთან დიალოგს მოითხოვს და მიიჩნევს, რომ საქართველო რუსეთ-თურქეთის ერთობლივ ენერგეტიკულ პროექტებში უნდა ჩაერთოს.

სხვათა შორის, რუსეთის წინადადებას „სამხრეთი ნაკადის“ შეჩერებისა და „ბუნებრივი აირის სამხრეთი დერეფნის“ ამუშავების შესახებ ევროკავშირის წევრი ბულგარეთი გამოეხმაურა. ბულგარელებს იმედი აქვთ, რომ სწორედ ბულგარეთის ვარნა გახდება ენერგეტიკული კავშირის გამანაწილებელი ცენტრი და ბულგარეთი შეასრულებს მნიშვნელოვან როლს ევროპაში გაზის დივერსიფიკაციის საქმეში.

რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებში თანმიმდევრულობას ვერ იჩენს უკრაინა. მაგალითად, ნოემბრის ბოლოს უკრაინის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ რუსეთისაგან ელექტროენერგიასა და ქვანახშირს შეისყიდის. რამდენიმე დღეში უკრაინის ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ რუსეთიდან ენერგომატარებლების შესყიდვას მაქსიმალურად შეზღუდავს. შორეულ ავსტრალიასთან მოლაპარაკებებიც გაიმართა ნახშირის იმპორტირების თაობაზე. ამავე დღეს უკრაინის პრემიერმა არსენი იაცენიუკმა განაცხადა, რომ რუსეთმა, როგორც აგრესორმა ქვეყანამ, უკრაინას უზარმაზარი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

ასეთმა მერყეობამ რუსი ექსპერტებიც გააკვირვა. ერთი მათგანი, ანდრეი სუზდალცევი, აღნიშნავს:

— აგრესორი ქვეყნისგან (როგორც კიევში რუსეთს უწოდებენ) საქონლის მიღება ნონსენსია. ეს იგივეა, რომ გაგანია სტალინგრადის ბრძოლის დროს ვერმახტისა და საბჭოთა არმიის ოფიცრები სადმე ბლინდაჟში შეკრებილიყვნენ, „ვალინკებისა“ და შინელების შესყიდვა განეხილათ და ერთმანეთი თანხების დროულად გადაუხდელობაში დაედანაშაულებინათ.

— უკრაინის პოლიტიკასა და ეკონომიკაში აბსურდის თეატრი ბატონობს, — ასკვნის ექსპერტი.

მისივე აზრით, უკრაინის სახელმწიფოსათვის სავსებით ლოგიკური და გონივრული იქნებოდა ენერგომატარებლების რუსეთში შესყიდვა. უკრაინისათვის უფრო ლოგიკური იქნებოდა დონბასის არა დანგრევა, არამედ განვითარება და ქვანახშირის მოპოვების მოდერნიზება. ეს რამდენჯერმე შეამცირებდა ენერგომატარებლების იმპორტს.

— მაგრამ უკრაინაში პირველ პლანზე ყოველთვის პოლიტიკა გამოდის. თითქოს პარადოქსული სიტუაციაა — უკრაინის ეკო-



ნომიკა სრულფასოვნად ვერ იფუნქციონირებს ურუსეთოდ, მაგრამ კიევისათვის პოლიტიკა უფრო მნიშვნელოვანია, — ასკვნის ექსპერტი.

როგორც ჩანს, პოლიტიკა რუსეთისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია. ეკონომისტი კონსტანტინ სონინი გერმანული „შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ 2008 წლის შემდეგ პუტინი დაკავებული იყო არა ქვეყნის რეფორმირებით, არამედ, საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებით. რაც უარყოფითად აისახა რუსეთის ეკონომიკაზე.

— რუსეთი დიდი ხანია, ეკონომიკური კრახისაკენ მიდის. რუსეთის ეკონომიკა არ იზრდება უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში. რუბლის დევალვაცია უკრაინის კრიზისამდე დაიწყო. ამის ერთ-ერთი მიზეზია ინვესტორების უარი, დააბანდონ სახსრები რუსეთში, — ამბობს ეკონომისტი.

საქართველო, რომელიც ვერც ევროკავშირში გაწევრიანდა და რუსეთთანაც დაძაბული ურთიერთობები აქვს, ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც უმძიმეს დღეშია. ისიც გაურკვეველია, რა მოაქვს საქართველოს ეკონომიკისთვის, მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობისათვის რუსეთთან ვაჭრობას და გაიხსნება თუ არა სხვა ბაზრები. აბსოლუტური უმრავლესობა, ცხოვრების დაპირებული გაუმჯობესების ნაცვლად, ყოველდღიურ გაძვირებას აწყდება და ვერც სამუშაო ადგილებს პოულობს.

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რაულ ხაჯიმბა: ენგურჰესი აფხაზეთს ეკუთვნის!“

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზთა ლიდერი რაულ ხაჯიმბა საქართველოს მორიგ პრეტენზიებს უყენებს. მან თვალი ამჯერად ენგურჰესს დაადგა. მისი თქმით, ენგურჰესი, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, რაც ჩვენს ტერიტორიაზე არსებობს, აფხაზ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს.

ამ განცხადებამდე რამდენიმე დღის წინ განცხადება აფხაზეთის გენერალურმა პროკურორმა ალექსი ლომიამ გააკეთა. ლომიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათ მიერ სახელმწიფო კომპანია ,,ჩერნომორენერგოს“ დოკუმენტების შემოწმების შედეგად, დარღვევების მთელი წყება აღმოაჩინეს.

ალექსი ლომიას თქმით, მათ შორის ყველაზე სენსაციური იყო ის, რომ 2007 წლიდან ,,ჩერნომორენერგოს“



ბალანსზე აღარ ირიცხება ისეთი საწარმოები, როგორიც ,,ენგურჰესი“ და ,,ვარდნილჰესია.“ ორივე მათგანი ქართული ენერგოსისტემის კუთვნილებაში გადავიდა.

— ჩვენ დღემდე ისიც არ ვიცით, ვიღებთ თუ არა ,,ენგურჰესიდან“ მოგების იმ 40 %-ს, რაც გვეკუთვნის. პრეზიდენტმა და მთლიანად, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შესაბამისი ზომები უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ ამ ობიექტის კუთვნილების საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადავწყვიტოთ, — აღნიშნა ხაჯიმბამ.

მისი თქმით, გენერაციის მთავარი ობიექტის მათ მფლობელობაში გადასვლა რთული პროცესია, მაგრამ არა — შეუძლებელი.

— მართალია, ეს საკითხი დროში გაიწელება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მივაღწევთ სასურველ შედეგს. ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს, — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ.

მის განცხადებას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი გამოეხმაურა. ხოკრიშვილი ხაჯიმბას განცხადებას უსაფუძვლოს უწოდებს.

ხოკრიშვილის თქმით, შპს „ენგურჰესის“ წილის 100-პროცენტიანი მფლობელი სახელმწიფოა.

— განცხადების დეტალებს არ ვფლობ და კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდება. საქართველოს აქვს სახელმწიფო პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში და ამ პოლიტიკის ფარგლებში მოხდება ამ განცხადების შეფასება, მაგრამ ენგურჰესის წყალსაცავი არის ჩვენ ტერიტორიაზე. მე უბრალოდ ამ განცხადების საფუძველს ვერ ვხვდები. თავად შპს „ენგურჰესის“ წილების 100 პროცენტიანი მფლობელიც სახელმწიფოა. მე არ მგონია, რომ ამ განცხადებამ შეიძლება რაიმე ცვლილება გამოიწვიოს „ენგურჰესის“ მართვასთან დაკავშირებით, — განაცხადა ხოკრიშვილმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა „ენგურჰესის“ გარშემო სკანდალი გორდება. აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება აპირებდა „ენგურჰესი“ 10 წლიანი ერთობლივი მართვით რუსეთისთვის გადაეცა. შეთანხმებაც მზად იყო. ქართული მხარე შეთანხმებას ასაიდუმლოებდა.

მაშინ საქართველოს მთავრობამ რუსეთთან ენგურჰესის ერთობლივი კონტროლი შეათანხმა. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და „ინტერრაოს“ გამგეობის თავმჯდომარემ თბილისში ხელი მოაწერეს ურთიერთობის მემორანდუმს, რომელიც ენგურჰესის ეფექტური ექსპლუატაციის საკითხებს ითვალისწინებს.

ხელმოწერაც შედგა. დოკუმენტის დეტალებს მხოლოდ რუსული მხარე ახმოვანებს. „ინტერრაოს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 10 წლის განმავლობაში საქართველო ენგურჰესის გამართულად მუშაობის საკითხებს რუსეთთან ერთად მოაგვარებს.

„ინტერრაოს“ ოფიციალური ინფორმაციით, რუსული მხარე მოლაპარაკებას აწარმოებდა როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარესთან. საინტერესოა, რომ აქამდე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფდნენ ენგურჰესის გასხვისებას ან რუსეთთან ერთობლივი მართვის შესაძლებლობას.

ინფორმაციის მიხედვით, მემორანდუმის გაფორმებას ქართული და რუსული მხარეები განიხილავენ, როგორც სერიოზულ წარმატებას, გამომდინარე იქიდან, რა როლიც აქვს „ენგურჰესს“ კავკასიის რეგიონისა და რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ნაწილის ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით.

ამ საიდუმლო შეთანხმების დეტალებზე თავის დროზე „ვიკილიქსიც“ წერდა. ამ საკითხზე მაშინ აფხაზებმა სკანდალი ატეხეს და მოსკოვის და თბილისის შეთანხმება ჩაშალეს.

# აკაკი ბობოხიძე ნოდარ ხადურს: 140 ლარად როგორ ყიდულობდით წყვილ კალოშს“

შორენა მარსაგიშვილი

**უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გუშინ მომავალი წლის ბიუჯეტზე ბაასობდნენ. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ნალოლიავები ბიუჯეტი უმცირესობამ არაერთგზის შეარჩვენა. ნაცმოძრაობამ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ განაცხადა, რომ ამ პროექტს მხარს არ დაუჭერდნენ.**

ყველაფერი წინასწარ იყო გარკვეული და ამიტომაც იყო, რომ დეპუტატები და ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის ნაცვლად კალოშებზე საუბრობდნენ. ცალ-ცალი კალოშის თემა ნოდარ ხადურმა „ააგდო“. ამის პარალელურად მან ბიუჯეტის პროექტზეც ისაუბრა.

— საქართველოს ისტორიაში, არც ერთ წელს, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების ბიუჯეტის მიმართულებით 80-85%-ზე მეტად არ შესრულებულა, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ნოდარ ხადურის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა გადაჭარბებული იქნება.

— საგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით შესრულდება. ასევე შესრულდება შემოსულობების გეგმა, რაც 100%-ზე მეტი იქნება. მივიღებთ ყველა ჩამოსარიცხ თანხას. რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯებს, საქართველოს ისტორიაში, არც ერთ წელს, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების ბიუჯეტის მიმართულებით 80-85%-ზე მეტად არ შესრულებულა. იყო წლები, როცა ხდებოდა საბიუჯეტო პროექტის დაკორექტირება და ფაქტზე მორგება, რასაც ჩვენ არ ვაკეთებთ და გეგმას ვადარებთ. მიუხედავად ამისა, მინდა გითხრათ, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თვეში საშუალოდ 125-130 მილიონ ლარს ვხარჯავთ და ვფიქრობთ, რომ შესრულება 100%-ს მიუახლოვდება, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას ხადურმა პრემიების თემაზეც ისაუბრა. მან ვერაფრით გაიხსენა შემთხვევა, რომ წელს მინისტრებს პრემია აეღოთ.

— მინისტრების და მინისტრის მოადგილეების ხელფასები მნიშვნელოვნად არის შემცირებული — ორჯერ, სამჯერ და ზოგჯერ მეტადაც. მინისტრის ხელფასი ხელზე, თავის დანამატთან ერთად, 5 000 ლარია. პრაქტიკულად, არ მახსოვს შემთხვევა, რომ წელს მინისტრებს პრემია მიეღოთ, ორი-სამი გამონაკლისის გარდა. აქ კი საუბარია რამდენიმე მინისტრზე, რომლებმაც ასოცირების შეთანხმებაზე იმუშავეს და პრემია მათ მიიღეს, -— განმარტა ნოდარ ხადურმა.

მასთან ნაციონალებს ბევრი კითხვა ჰქონდა. ირმა ნადირაშვილი დაინტერესდა, რა ვალი აქვს ხელისუფლებას ირაკლი შიხიაშვილის. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა.

დეპუტატის თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ საკუთარი გარემოცვის დასასაქმებლად ახალი ბიუროკრატია შექმნა. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის კონკურენციის სააგენტოსათვის გამოყოფილი აქვს 1 900 000, სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის — 1 300 000, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოსათვის — 4 200 000, ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის — 2 150 000, ხოლო ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის, რომელსაც სწორედ ირაკლი შიხიაშვილი ხელმძღვანელობს, 7 450 000 ლარი.

— ეს ახალი ბიუროკრატია საქართველოს მოსახლეობას ჯამში 15 მილიონი ლარი უჯდება. ფიქრობთ, რომ საქართველოს ეკონომიკა და ბიუჯეტი იმ ფორმაშია, შიხიაშვილს 7 450 000 მისცეს?! რა ვალი გაქვთ ასეთი შიხიაშვილის, რომ ამ დეპარტამენტს დაფინანსება ასე გაუზარდეთ?! — ჰკითხა ირმა ნადირაშვილმა ნოდარ ხადურს.

მინისტრის მისამართით დეპუტატს სხვა კითხვაც ჰქონდა. ერთი კვირის წინ დაწყებული საკადრო ცვლილებები ფინანსთა სამინისტროსაც შეეხო. ამ უწყებაში საგადასახადო სამსახურის უფროსი შეიცვალა. ნადირაშვილს ძველის შეცვლის მიზეზი აინტერესებდა.

— გასულ კვირას თქვენს სამინისტროში ცვლილება მოხდა. საგადასახადო სამსახურის უფროსი შეცვალეთ. მუდმივად გვიყვებით წარმატებებზე, რომლებსაც თქვენმა სამინისტრომ მიაღწია. ამბობთ, რომ ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდება. თუ ასე კარგად გაქვთ საქმე, მაშინ საგადასახადო სამსახურის უფროსის შეცვლა რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი?! თუ თქვენს შემთხვევაშიც ჭიკაიძისნაირად მოხდა — გაიღვიძეთ და ახალი თანამშრომელი დაგხვდათ სამსახურში? — იკითხა ირმა ნადირაშვილმა.

ხადურს კითხვა ზურაბ მელიქიშვილმაც დაუსვა. მას ფინანსთა მინისტრი შემოეწყევლა კიდევაც. დეპუტატის განმარტებით, მთავრობა იძულებულია 2014 წელს ძალით გაარღვიოს ბიუჯეტი, თუ არადა, ლარი დაემხობა თავზე.

— ბიუჯეტი გამჭვირვალეა. ადვილია იმის დანახვა, რომ წინა პროექტთან შედარებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში 3 მილიარდ 200 მილიონი ვალის აღება ხდება, საიდანაც 1 მილიარდ 200 მილიონი კერძო კომერციული ბანკების მაღალპროცენტიანი ვალია. 2013 წელს ბიუჯეტში 700-მილიონიანი გარღვევა იყო. 2014 წელს იძულებულნი ხართ, ძალით გაარღვიოთ ბიუჯეტი, თუ არადა, ლარი დაგვემხობა თავზე. აქედან გამომდინარე, ძალიან კარგია, რომ ბიუჯეტი გამჭვირვალეა. გავიგეთ, რომ ბიუროკრატია 2012 წელთან შედარებით 11 000 ადამიანით იზრდება მაშინ, როდესაც თქვენივე მიმართულება, პირიქით, ბიუროკრატიის შემცირება იყო. მაგრამ რა უნდა ქნათ, ბატონო ნოდარ, როცა კერძო სექტორში ვერავინ საქმდება, ბუნებრივია, ყველა გთხოვთ დასაქმებას და ამიტომ სახელმწიფო სტრუქტურებში დამატებით ხდება შტატების გაბერვა. ამას მოჰყვება მერე ხელფასებისა და დანამატების მუხლის ზრდა. მივხვდით, რომ 2012 წელთან შედარებით, ეს მუხლი 356 მილიონი ლარით იზრდება, -— განაცხადა ზურაბ მელიქიშვილმა.

მან ფინანსთა მინისტრთან კომუნიკაციის ნაკლებობაზეც დაიჩივლა. მელიქიშვილის თქმით, ნოდარ ხადური მესამე წელია ბიუჯეტის პარამეტრებზე დეპუტატებს პარლამენტის ტრიბუნიდან ესაუბრება.

— წლის ბოლოს კი ვერც ერთ პარამეტრს ვერ უახლოვდებით. მერე ხდება გადაბრალება. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს? თქვენ არ გგულისხმობთ, ბატონო ნოდარ, -— ჰკითხა ზურაბ მელიქიშვილმა ნოდარ ხადურს.

საპარლამენტო უმცირესობა გუშინ კოლეგებისთვის სიურპრიზის მოწყობას აპირებდა. მათ საგანგებოდ გამოსცეს გაზეთი, სადაც მათივე თქმით, ღარიბაშვილის და თამაზაშვილის კლანზე იყო საუბარი.

— პარლამენტში, დეპუტატებს თავიანთ სამუშაო ადგილებზე დახვდებათ ეს გაზეთები. გაზეთში წარმოდგენილია თამაზაშვილისა და ღარიბაშვილის კლანი. წარმოდგენილია თუ როგორ ჰყავთ მათ დასაქმებული ნათესავები. ეს მოცულობითი მასალაა და ერთ ბრიფინგში ვერ ჩაეტეოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, გაზეთის გვერდებზე გადაგვეტანა ყველაფერი, რათა საზოგადოებას დეტალურად ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რაში იხდიან გადასახადებს — თამაზაშვილისა და ღარიბაშვილის ნათესავების დასაქმებაში, კორუფციულ გარიგებებში. სწორედ ამიტომ არ იქმნება ხალხისთვის სამუშაო ადგილები. ჩვენ ამ სერიას აუცილებლად მომავალშიც გავაგრძელებთ, — განუცხადა სხდომის დაწყებამდე ირმა ნადირაშვილმა ჟურნალისტებს.

დიდი მონდომების მიუხედავად, უმცირესობას პლენარულ სხდომაზე უმრავლესობისთვის მათ მიერ გამოცემული გაზეთების გადაცემის შესაძლებლობა არ მიეცა.

დეპუტატ გოგა ხაჩიძის განცხადებით, მიუხედავად ყველაფრისა, გაზეთით ბევრი დაინტერესდა და მისი გაცნობის შესაძლებლობა დეპუტატებს მაინც ექნებათ.

— გვინდოდა, დაგვერიგებინა გაზეთი დარბაზში დეპუტატებისთვის, თუმცა ამის შესაძლებლობა არ მოგვეცა. როგორც ჩანს, გაზეთი დიდი ინტერესით სარგებლობს, ამიტომ სხდომათა დარბაზის გარეთ დავარიგებთ. ალბათ პროცედურულად არ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ძნელია, როცა ,,ოცნების“ დეპუტატს ხელში უჭირავს გაზეთი, რომელშიც ივანიშვილის ოლიგარქიული სიებია მოცემული, — განაცხადა ხაჩიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

კალოშებზე საუბარი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ნოდარ ხადურმა ეს პოპულარული ფეხსაცმლის ნაირსახეობა ახსენა. კალოში მან კორუფციულ გარიგებებს მოაყოლა.

— კორუფციულ გარიგებებზე საუბრისას მოიკითხონ ,,ნაცების“ ის წევრები, რომლებიც ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ და კარგად ხედავთ, ახლა რით დადიან, — აღნიშნა ხადურმა.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ჟურნალისტებთან განაცხადა, ეკონომიკური მაჩვენებლის 5-პროცენტიანი ზრდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იქნება რეგიონში.



— ის პრიორიტეტები, რაც ,,ქართულ ოცნების“ მიერ იყო აღებული, აბსოლუტურად არის ასახული 2015 წლის ბიუჯეტში. ჩვენი მიზანია ზრუნვა მოსახლეობაზე, განათლებასა და სოფლის მეურნეობაზე. ინფრასტრუქტურული ხარჯები იზრდება, რომელიც ეკონომიკის სტიმულირებას შეუწყობს ხელს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბიუჯეტმა ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და იზრუნოს ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. 5-პროცენტიანი ზრდა რეგიონში ყველაზე მაღალია, — განაცხადა ფინანსების მამამ.

კალოშებთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული განცხადება სასწრაფო წესით მიეწოდა ნაციონალებს. გოგა ხაჩიძე ამ საკითხით ძალიან დაინტერესდა და ხადურს სთხოვა, ცალ-ცალი კალოშით მოსული ნაცების ვინაობა დაეკონკრეტებინა.

— მაინტერესებს, ვის გულისხმობდით. პირადად ჩემზე შემიძლია გითხრათ, რომ ორგზის დეპუტატი ვარ, ოთხი წელი ორი რეგიონის გუბერნატორი ვიყავი, ოთხი წელი მინისტრად ვიმუშავე და დღემდე ჩემი ოროთახიანი ბინის კრედიტს ვიხდი, 2001 წლის „რენო ლაგუნათი“ დავდივარ. ვის გულისხმობდით და ხომ არ შეგიმჩნევიათ, რომ ასეთი „ნაცები“, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ახლა „ქოცები“ გახდნენ და თქვენთან გადმოინაცვლეს, — მიმართა ფინანსთა მინისტრს ხაჩიძემ.

კალოშებმა კითხვები გაუჩინა აკაკი ბობოხიძესაც. მან ხადურს ძველი დრო გაახსენა, როცა 140 ლარიან ხელფასზე მუშაობდა.

— ბატონო ნოდარ, ახლა გასაგებია, ტყავის ჩექმას და ბეწვის პლაშსაც იყიდით, მაგრამ იცით რა მაინტერესებს, შევარდნაძის დროს მინისტრის მოადგილედ რომ იყავით, 140 ლარად როგორ ახერხებდით ორი წყვილი კალოშის ყიდვას? — განაცხადა სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ბობოხიძემ.

პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ არის სამინისტროები, რომლებსაც თანხების ათვისების პრობლემა აქვთ და, მაგალითად, დევნილთა და განსახლების სამინისტრო მოიყვანა.

ონოფრიშვილის თქმით, ასეთ შემთხვევაში მთავრობამ ასეთი უწყებების ხარჯებს უნდა გადახედოს და პრიორიტეტულობის მიხედვით, იმ უწყებებს გადასცეს, ვისაც ფულის დახარჯვა შეუძლია.

— მაგალითად, დევნილთა და განსახლების სამინისტროს შვიდ თვეში ათვისებული ჰქონდა მისთვის გამოყოფილი თანხების 23% და ახლა, 11-თვის მდგომარეობით არის 60%. თანხები კი, ისეთ პროგრამებს ეხებოდა, რომელიც განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. დღეს არის შემთხვევა, როცა თბილისში იძულებით გადაადგილებულებს ასახლებენ, მაშინ, როცა თანხები არსებობდა და პრობლემის მოგვარება შეიძლებოდა, — განაცხადა დავით ონოფრიშვილმა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# კახა კუკავა: ივანიშვილი ღარიბაშვილის დელიკატურად შეცვლის გზებს ეძებს“

ნონა ცაბაძე

**ხელისუფლებაში მიმდინარე მასშტაბურმა საკადრო გადაადგილებებმა საზოგადოების მძაფრი ინტერესი გამოიწვია. შეიცვალა პრემიერ ღარიბაშვილის პრაქტიკულად მთელი გარემოცვა. ყველას აინტერესებს, რამდენად გააუმჯობესებს ეს ვითარებას და შეუწყობს თუ არა ხელს იმ კრიზისის დაძლევაში, რომელშიც საქართველო იმყოფება.**

პოლიტოლოგი კახა კუკავა „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ პრობლემა არა პერსონალიებში, არამედ სისტემურ შეცდომებშია.

***კახა კუკავა:***

— „ქართულ ოცნებაში“ შიდა კლანური დაპირისპირება მიმდინარეობს. გახსოვთ, თავიდანვე ვსაუბრობდი იმის თაობაზე, რომ ქვეყანას სჭირდება არა კლანების და რეჟიმის ცვლილება, არამედ სისტემის ცვლილება. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა და, როგორც შევარდნაძის და სააკაშვილის მთავრობები იყო კლანურ სისტემაზე დაფუძნებული, ისე „ქართული ოცნებაც“ აღმოჩნდა კლანურ სისტემაზე დაფუძნებული ხელისუფლება და არა — ინსტიტუტებზე დაფუძნებული.

***— რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ხელისუფლებაში?***

— დღეს მიმდინარეობს სწორედ კლანური სისტემის საკადრო ცვლილებები. ჩვენ ვხედავთ, რომ 9 თუ 10 მაღალჩინოსანი იქნა დათხოვნილი ღარიბაშვილის კლანიდან და ჩვენ გვეუბნებიან, რომ ყველას ერთდროულად მოუნდა გადადგომა და არაფერ შუაში არ არის ბიძინა ივანიშვილი. ეს გვახსენებს, ყველა ბიზნესმენს, სააკაშვილის დროს, როგორ მოუნდებოდა ხოლმე სახელმწიფოსთვის ეჩუქებინათ ქონება და მერე გვიმტკიცებდნენ, რა ვქნათ, თვითონ მოუნდათო. ასეთი მიდგომა, როცა რაღაცას აკეთებენ განმარტების გარეშე, არის კლანებისა და მაფიისთვის დამახასიათებელი. დღეს საქართველოში მოქმედებს ომერტას ანუ დუმილის კანონი. ჩინოვნიკები გაუშვეს და ყველა დუმს.

***— რა ჩაიფიქრა ივანიშვილმა? ჩვენ ვიცით, რომ მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო ღარიბაშვილი და მისი შევიწროვება გადაწყვიტა თუ რა ხდება?***

— დიახ, რასაკვირველია, ეს არის ღარიბაშვილის შესუსტებისკენ გადადგმული ნაბიჯი. მიმდინარეობს კლანური დაპირისპირება ბიზნესის სხვადასხვა სფეროების გადანაწილების კუთხით და ეს პროცესი დაწყებულია პირველი ოქტომბრის შემდეგ. ამიტომ აქ, ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულობის ფაქტორი არავის უშველის. ბიძინა ივანიშვილი ბიზნესში ენდობა მხოლოდ საკუთარ თავს. მას თავისი დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი ჰყავს დანიშნული, კაცი, რომელიც განაგებს ბიზნესში ყველაფერს, ის არის მისი მოლარე და ბიზნესიდან ამოღებული მილიონები და მილიარდები მიდის პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის ჯიბეში. ხოლო ნებისმიერი, ვინც მიუახლოვდება ივანიშვილის ოჯახის ბიზნეს-ინტერესებს, მკაცრად ისჯება.

***— იგივე ემართება ღარიბაშვილს?***

— მე შეგახსენებთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილზე არანაკლებ ფავორში ჰყავდა ერთი პერიოდი ივანიშვილს გია ხუხაშვილი და ხუხაშვილი განაგებდა იქ მთელ რიგ ბიზნეს საკითხებს. როგორც კი მას ნამეტანი მოუვიდა და როგორც კი შეიჭრა ივანიშვილის ოჯახის ბიზნეს-ინტერესების სფეროში, გახსოვთ, გია ხუხაშვილს როგორ უცებ წაუკიდეს ცეცხლი და დაატოვებინეს ყველა ოფიციალური და არაოფიციალური პოსტი. ზუსტად იგივე ხდება ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ. დღეს მისი გუნდის წევრებმა მოინდომეს ძალიან გამდიდრება. ბალანსირების პრინციპი გულისხმობს იმას, რომ საქართველოში ფული უნდა ჰქონდეს მარტო ბიძინა ივანიშვილს. სხვა კლანები უნდა იყვნენ მხოლოდ მისი მომსახურენი. თუ რომელიმე კლანი გაძლიერდა, ის მაშინვე აღკვეთილი იქნება ივანიშვილის კლანის მიერ. დღეს სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს. ღარიბაშვილს უთხრეს, შენ ხარ პოლიციელი, შენ გევალება მხოლოდ მთავრობის კანცელარიის მართვა, ხოლო რაც შეეხება ბიზნეს წილების ამოღებას რკინიგზიდან, ბენზინიდან და ასე შემდეგ, ამას განახორციელებს უშუალოდ უჩა მამაცაშვილი. ამიტომაც მთელი რიგი სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებად ინიშნებიან უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრები. იგივე ანზორ ჩუბინიძე იქნა დანიშნული სპეცსამსახურის უფროსად.



***— ღარიბაშვილის გვერდის ავლით დაიწყო მისმა გარემოცვამ ბიზნესში ხელების ფათური თუ ისიც არის ამ პროცესების მონაწილე?***

— რა თქმა უნდა, არის. ვერც ერთი ჩინოვნიკი, 5 კაპიკს ვერ მოიპარავს, თუ დარწმუნებული არ არის, რომ ზემდგომი ამაზე არის ინფორმირებული. ირაკლი ღარიბაშვილმა დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო გუნდის ფორმირება, რადგან ემზადება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. უფრო ზუსტად, ემზადებოდა, ახლა ეს თემა დღის წესრიგიდან მოხსნილია. ბუნებრივია, რომ ის აპირებდა თავისი გუნდის გავლენის სფეროების გაფართოებას ბიზნესში. ეს არის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ სანქცირებული თემა და ვერანაირი ჩხენკელის, ზედელაშვილის და სხვა უსახო პერსონაჟები ვერ გაბედავდნენ მილიონიან ბიზნესებთან გაკარებას მისი სანქციის გარეშე.

***— თუ ღარიბაშვილის გაპრეზიდენტების თემა მოხსნილია, გამოდის, მან დაასრულა პოლიტიკური კარიერა.***

— რასაკვირველია, ირაკლი ღარიბაშვილი ამჟამად არის დასრულებული თემა. უბრალოდ, ზრდილობის და დელიკატურობის ფორმებს ეძებს ბიძინა ივანიშვილი, თუ როგორ შეცვალოს იგი. ის პრაქტიკულად დღესაც ნომინალური პრემიერია. რამდენიმე დღის წინ გამოიცა დადგენილება, რომლითაც პრემიერ-მინისტრი ვერც ერთ საბუთს ერთპიროვნულად ხელს ვეღარ აწერს და ეს უფლებები გადაეცა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს. ეს ინფორმაცია თვითონ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტაციამ გაახმოვანა. ირაკლი ღარიბაშვილს პრაქტიკულად დღეს არანაირი უფლებები არა აქვს. იმაზე უარეს დღეში აღმოჩნდა, ვიდრე თავის დროზე მან ჩააყენა პრეზიდენტი. იმიტომ, რომ პრეზიდენტი რაღაცას მაინც აწერს ხელს ერთპიროვნულად. ირაკლი ღარიბაშვილს კი ამის უფლება წაერთვა. ის ხელს აწერს მხოლოდ მთავრობის დადგენილებას, რომელიც პოლიტიკური ორგანოს გადაწყვეტილებაა. ხოლო მას საკუთრივ რა ფუნქციებიც ჰქონდა, ყველაფერი გადაეცა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს.

***— ეს რას ნიშნავს?***

— იმას, რომ ბიძინა ივანიშვილმა აიღო უშუალოდ ხელში მართვის სადავეები და ახლა შეეცდებიან, ღარიბაშვილის ჩანაცვლება მოხდეს იმ ფორმით, რომ ეს არ იყოს განსაკუთრებული აჟიოტაჟის საგანი. კანდიდატურებიც სახელდება.

***— ვინ არიან ისინი?***

— ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ. ყველაფერს გადაწყვეტს ბიძინა ივანიშვილი თავის უახლოეს ნათესავებთან და ბიზნეს-პარტნიორებთან ერთად. სახელდება სერგეენკოს კანდიდატურა, სახელდება კალაძის კანდიდატურა. თუმცა ეს ვარაუდებია და საბოლოოდ ოლიგარქი რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ამისი პროგნოზირება ძალიან ძნელია.

***— თავად რომ მოინდომოს ამ პოსტის დაკავება?***

— ამას არ გააკეთებს, რადგან კარგად იცის, რომ „ქართული ოცნება“ აღარ არის აღმასვლის პერიოდში. დაიწყო მისი დაღმასვლა. ის საკმაოდ ეგოისტი ადამიანია. მას სურდა, „ქართული ოცნების“ სახე ყოფილიყო მაშინ, როდესაც ეს იყო დაკავშირებული წარმატებებთან, პოპულარობასთან, მაღალ რეიტინგთან, მაგრამ ახლა, როცა პასუხისმგებლობებთან არის დაკავშირებული, ამისი გაკეთება არ სურს. ცოტა უხერხული და დელიკატური თემაა, მაგრამ საჯარო პოლიტიკაში ყველა თემას აქვს არსებობის უფლება, მე მაქვს ინფორმაცია და არც თქვენ გაგიჭირდებათ ამისი გადამოწმება, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ ივანიშვილმა შეუწყვიტა ყველანაირი დახმარება სახხერის რაიონს, რასაც იგი მთელი ორი ათეული წლის მანძილზე გასცემდა. ეს ძალიან კონკრეტული მაგალითია, თუ რას წარმოადგენდა ამ ადამიანის ქველმოქმედება და რისკენ იყო მიმართული.

***— რა პროცესებს უნდა ველოდოთ, როგორი იქნება შემდგომი წელი?***

— ახალს და განსაკუთრებულს არაფერს. ქვეყანაში 2012 წელს რეალურად არაფერი შეცვლილა. შევარდნაძე, სააკაშვილი ივანიშვილი, — ეს გვარები კი იცვლება, მაგრამ სამივე მათგანი არის სისტემის ფორმები. ეს არის კრიმინალური კლანური სისტემა, რომელიც წარმოადგენს მარიონეტს სხვადასხვა უცხოური სპეცსამსახურებისას. ჩვენ უნდა ვეცადოთ და მოვახერხოთ ამ სისტემისაგან გათავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე შედეგს მივიღებთ. საქართველოს დღეს სჭირდება რევოლუცია და რევოლუციაში, რასაკვირველია, შეიარაღებულ აჯანყებას არ ვგულისხმობ, არამედ ვგულისხმობ ამ სისტემის ცვლილებას. არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ქვეყანას, რომელსაც მომავალზე აქვს პრეტენზია, განაგებდე კლანებით. ასე წინ ნამდვილად ვერ წავალთ.

# ეკა გიგაური: შსს-ს რეფორმირება ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა“

ნათია ხურცილავა




**მიიღო თუ არა მიწვევა არასამთავრობო სექტორმა იმ კომისიაში, რომლის მუშაობის მთავარი ამოცანაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან უშიშროების სამსახურის გამოყოფა იქნება?**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორ ეკა გიგაურის განცხადებით, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობაზე მათ ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიუღიათ.

როგორც გიგაურმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, შეთავაზების შემთხვევაში ისინი სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან, მით უმეტეს, რომ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციის ფარგლებში, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ თავმჯდომარეობს, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული სამართალდამცველი ორგანოების რეფორმირების გარკვეული ხედვები უკვე შემუშავებულია.

— შსს-ს რეფორმირება ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა და ჩვენ უკვე წლებია, ამაზე ვსაუბრობთ, როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე ახალი მთავრობის დროსაც, თუმცა ვიტყვი, რომ მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების სამსახურის გამოყოფა ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის და სამართალდამცველი უწყებების რეფორმირებას საერთო კონტექსტში უნდა განვიხილავდეთ. თვითონ შსს-ში ძალიან ბევრი პრობლემა არსებობს, მაგალითად, ის, რომ ძალიან ბევრია დეპარტამენტი, რომელთა ფუნქციების დუბლირება ხდება. არსებობს დაახლოებით შვიდი დეპარტამენტი, რომელთა დებულებაც გასაიდუმლოებულია, მაგალითად, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, გენერალური ინსპექცია და ეს ძალიან დიდი პრობლემაა. ერთი მხრივ, მათ საქმიანობას კანონმდებლობა არეგულირებს, მაგრამ კიდევ არის დარჩენილი გარკვეული რეგულაციები, რომლებიც საზოგადოებისთვის საიდუმლოა და ასეთი რაღაც რეფორმირებულ უწყებაში არ ხდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიციელების დანიშვნისა და, რაც მთავარია, დაწინაურების წესი გამჭვირვალე იყოს. მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების შექმნაც, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებს გამოიძიებს. აქედან გამომდინარე, ინიციატივა დამოუკიდებლად სამართალდამცავი ორგანოების რეფორმისგან არ უნდა განიხილებოდეს. ძალიან ბევრი საკითხია, რომლებიც სამართალდამცავ უწყებებში რეფორმირებას საჭიროებს და მხოლოდ უშიშროების გამოყოფა ამ საქმეს არ უშველის. — განაცხადა გიგაურმა.

გიგაურის თქმით, ამ კონტექსტშია ხაზგასასმელი მოსმენების კანონმდებლობა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების შემდეგ შესაცვლელი იქნება.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყურადღებას ეუთოს მისიის მონიტორინგის მიერ დადებულ რეკომენდაციაზეც ამახვილებენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორ ეკა გიგაურის განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები კანონმდებლობასთან მიმართებით არის გაკეთებული.

როგორც გიგაურმა „პირველ პრესკლუბში“ აღნიშნა, ანგარიშში საუბარია სასამართლოს ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც პირების დაუსწრებლად იქნა მიღებული, ასევე პროკურატურის მიმართ ნდობაზე, გაჭიანურებულ პროცესებსა და მართლმსაჯულების სხვა ხარვეზებზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის თქმით, პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებით ისინი ძალიან ხშირად საუბრობდნენ და ამ მიმართულებით „ოდირის“ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

— ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები კანონმდებლობასთან მიმართებით არის და, ვფიქრობ, ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ჩვენ, ერთი მხრივ, ვამბობთ, რომ სასამართლოში მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა და, კვლევების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თითოეულმა მოქალაქემ სასამართლოში, შესაძლოა, სამართალი იპოვოს. ეს, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ჩვენ ვსაუბრობდით პრობლემებზეც, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, მათ შორის იგივე მოსამართლეების დანიშვნისა და შერჩევის წესი. პროცესების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ მოხდეს გაუმჯობესება. ჩვენი სასამართლო სისტემა, რა თქმა უნდა, იდეალურისგან შორსაა, თუმცა, ვფიქრობ, კანონმდებლობის დახვეწის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. ეს ის ანგარიშია, რომელსაც მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს და, რა თქმა უნდა, ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მოცემულია, დასაგეგმი და გასაკეთებელია. ვფიქრობ, ამ რეკომენდაციების შესრულების შემდეგ ჩვენი სასამართლო სისტემა წელში უფრო გაიმართება. — განაცხადა ეკა გიგაურმა.

# ალექსანდრე ჭიკაიძე ნორვეგიის ელჩს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ გუშინ, ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ბარდ ივარ სვენდსენთან ოფიციალური შეხვედრა გამართა.

მხარეებმა ერთობლივი ინტერესის სფეროებში შემავალი საკითხები განიხილეს და თანამშრომლობის სამომავლო ღონისძიებები შეათანხმეს, ისინი აგრეთვე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს შეეხნენ.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრის დროს, „საქართველოს მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებას ხელი მოეწერა.

ნიუსპრესი

# რას წერს ნაციონალური მოძრაობის“ ნეპოტიზმზე ჟურნალისტი პოლ რიმპლი?

მომავალი ისტორიკოსებისა და სოციოლოგებისთვის, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მეცნიერებებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდი კარგი მასალა იქნება ნეპოტიზმის, როგორც მანკიერი სოციალური ფენომენის, შესასწავლად. შუა საუკუნეებისგან განსხვავებით, როცა ნეპოტიზმი უმაღლესი სასულიერო იერარქებიდან მომდინარეობდა და უზუნველყოფდა მათი ძმიშვილებისა თუ დიშვილებისთვის განუსაზღვრელი უფლებამოსილებების მინიჭებას (ეს ძირითადად პაპის ნათესავებთან დაკავშირებით ხდებოდა), 21-ე საუკუნის საქართველოში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარმატებით გააგრძელა საბჭოთა პრაქტიკა — ეს იყო მდგომარეობა, როცა პრივილეგიები არა მარტო ნათესაური კავშირების, არამედ პარტიული ერთგულების ნიშნით რიგდებოდა. გავლენები ბიზნესში, ასეულობით სახელმწიფო ტენდერში გამარჯვება, ექსკლუზიური კონტრაქტები სწორედ პარტიისადმი მონური მორჩილების საფუძველზე იყო უზრუნველყოფილი, თუმცა არც ნათესაობასა და ნათელ-მირონობაში იჩენდნენ სისუსტეს. რამდენიმე მაგალითს გავიხსენებ და შემდეგ გადავალ პარტიულ ამბებზე.

ნეპოტიზმში მოქმედი ხელისუფლების მხილებით განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირმა ნადირაშვილი გამოირჩევა. გასაგებია, რატომაც — დეპუტატს არაერთხელ შეახსენეს, რომ მისი და, ნათია ნადირაშვილი წლების განმავლობაში ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი იყო, მეუღლე — გიგი უგულავას მერობის დროს ჩუღურეთის რაიონის გამგებელი, მული — ლელა დაღელაშვილი კი ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მუშაობდა. ეს ჩამონათვალი ალბათ კიდევ არაერთი პირით შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ნადირაშვილს ისევე, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრები, ახერხებენ „უცოდველი კრავის“ მანტიის მორგებას და თავდაცვის პოზიციიდან თავდასხმაზე გადასვლას. გვარებისა და დაჯგუფებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა სამეგრელოში ახალაიებისა და გოროზიების კლანების არსებობაც საკმარისი მტკიცებულებაა იმისთვის, რომ ვაჩვენოთ, თუ როგორ იყო ნეპოტიზმი, პარტიული ერთგულება და პრივილეგიები როგორ იყო ერთმანეთთან გადაჯაჭვული.

სწორედ ეს აკავშირებდა ერთმანეთს ხელისუფლებას და მსხვილი ბიზნესის უმეტესობას წლების განმავლობაში. 2012 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დაკვეთით ჟურნალისტმა პოლ რიმპლმა გამოსცა წიგნი „ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012 წლებში“. გამოცემა მოცულობითია და დეტალურად აღწერს, თუ როგორ იგდებდნენ ხელისუფლების წარმოამდგენლები, მათი ნათესავები და პარტნიორები ეკონომიკის ყველა სფეროს. „ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ადამიანი, რომელიც ყველაზე კარგად ერგებოდა ამა თუ იმ კონტრაქტს, მინისტრის მეგობრად, ბიძაშვილად ან სიძედ გვევლინებოდა“, — წერს რიმპლი და 11 წლის დაწყებული ძარცვის, წართმევის, უკანონო დაყადაღების ქრონიკას აღწერს.

ჟურნალისტი, ბუნებრივია, პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე, ყველაზე დიდ ყურადღებას მედიაზე ამახვილებს და საჯარო თუ ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს გაერკვეს ლაბირინთებში, თუ როგორ გადაიფორმეს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა ჯერ „რუსთავი 2“, 7 ნოემბრის სასტიკი დარბევის შემდეგ კი ტელეკომპანია „იმედი“, საუბარი არ არის „პირველ არხზე“, რომელიც ფასადური რეფორმის ხარჯზე „საზოგადოებრივ მაუწყებლად“ გადააკეთეს, რეალურად კი სახელისუფლებო პროპაგანდის უღელი მალევე დაადგეს. ამ უსამართლობის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა „მოდელირებული ქრონიკის“ სულისჩამდგმელი გიორგი არველაძეა. რიმპლი ასე აღწერს არველაძის პერსონას: „საყურადღებოა, რომ გიორგი არველაძის პოლიტიკური კარიერა 1990-იანი წლებიდან იწყება, როდესაც იგი იუსტიციის სამინისტროში სააკაშვილის მინისტრობის პერიოდში მუშაობდა. „ვარდების რევოლუციისას“ ის სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში მოიაზრებოდა; შემდეგ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე იყო; მოგვიანებით პარლამენტის წევრად აირჩიეს, საიდანაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი გახდა. როდესაც დანიშვნიდან 10 დღის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტი დატოვა, მისი ადგილი არველაძემ დაიკავა, თუმცა 2008 წლის იანვარში პოლიტიკა მიატოვა და ბიზნესზე გადაერთო“, — თუ როგორ გადაერთო ბიზნესზე და როგორი პროპაგანდისტული ხრიკები გამოიყენა არველაძემ მოსახლეობაზე მანიპულაციის მიზნით, ყველას კარგად ახსოვს.

სახელისუფლებო რუპორი იყო ტელეკომპანია „ალანიაც“, რომელიც მთელი სამი წლის განმავლობაში უკანონოდ მაუწყებლობდა. რიმპლი შენიშნავს: „აღმოჩნდა, რომ ტელეკომპანია „ალანიას“ 100%-იანი წილის მფლობელია მამუკა თათოშვილი, „რუსთავი 2“-ის ყოფილი ოპერატორი და მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, ბავშვობის მეგობარი“.

რა თქმა უნდა, „ნაციონალური“ მედია წარმოუდგენელია ირაკლი ჩიქოვანის გარეშე — პირი, რომლისთვისაც არც ინტერესთან კონფლიქტს, არც საერთაშორისო ორგანიზაციების შეშფოთებას და სამოქალაქო აქტივისტების პროტესტს ხელი არ შეუშლია, მიეღო უკანონო შემოსავლები. მთელი ქვეყანა თუ არა, მთელი ქვეყნის მედია და სარეკლამო ბაზრის დიდი წილი სწორედ მას ეკუთვნოდა, რასაც რიმპლის მოკვლევაც ადასტურებს:

„სანამ 2009 წლის ზაფხულში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გახდებოდა, ირაკლი ჩიქოვანი „რუსთავი 2“-ის დირექტორი[99] და თანამფლობელი[100] იყო. თავმჯდომარეობის პირველი წლის განმავლობაში ის განაგრძობდა „მედიაჰაუზის“ თანამფლობელობას, რომელიც გაყიდვებით ქვეყნის სიდიდით მეორე სარეკლამო კომპანია იყო და რეკლამას „რუსთავი 2“-ზე, „მზეზე“ და რამდენიმე სხვა არხზე ყიდდა. 2010 წელს ჩიქოვანმა „მედიაჰაუზი“ და მისი კლიენტები სარეკლამო გაყიდვების ყველაზე დიდ კომპანიას, „ჯენერალ მედიას“, მიჰყიდა. ამის პარალელურად, ჩიქოვანი სამშენებლო კომპანიების, „მენო ინტერნეშენლის“, „ბედეგისა“ და„მაგი სტილის“, წილების მფლობელად რჩებოდა. ყველა ამ კომპანიის თანამფლობელი, მასთან ერთად, არის გიორგი გეგეშიძე, „რუსთავი 2“-ის დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულაციებს ექვემდებარება. „მაგი სტილი“ ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებლობაში მონაწილეობდა. ამას გარდა, ჩიქოვანი არის სარეკლამო სააგენტო „მაგი სტილი მედიას“ თანამფლობელი, რომელიც, სხვა მომსახურებასთან ერთად, კლიენტებს გარე რეკლამას, სამაუწყებლო დიზაინსა და სატელევიზიო სარეკლამო პროდუქციას სთავაზობს“, — ჩიქოვანის საცეცები კიდევ უფრო შორს მიდის და თითქოს დასასრული არც უჩანს: გარე რეკლამა, სამშენებლო ბიზნესი... ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ გრძნობდნენ თავს მიხეილ სააკაშვილთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული პირები თავს ისე, როგორც თევზი წყალში — საბიუჯეტო თუ საშუალო და მცირე ბიზნესის შევიწროების ხარჯზე თავი ნამდვილად წარმოედგინათ ყველაფრის მესაკუთრეებად, ამიტომ ჰქვია პოლ რიმპლის წიგნს „ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012 წლებში“ — საქართველო მათთვის საკუთრებასთან იყო გაიგივებული, ჩვენდა სამწუხაროდ.

ამჯერად აქ შევჩერდები. სააკაშვილის მთავრობის მიერ ბენზინისა და ფარმაცევტული ბაზრების დაუფლების თემებზე სხვა დროს დავწერ.

# დადგება თუ არა ალექსანდრე მარგიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი?

შორენა გონგლაძე

**საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის ფრაქციას თბილისის მიმდინარე და მომდევნო წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით კონკრეტული პრეტენზიები აქვს. ნაციონალური მოძრაობა თბილისის ვიცემერ ალექსანდრე მარგიშვილისა და თბილისის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.**



როგორც ფრაქციაში აცხადებენ, მომავალი წლის ბიუჯეტი არ პასუხობს იმ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომლებიც დედაქალაქის მოსახლეობის წინაშე დგას. დედაქალაქის მერიის მიერ თანხების აუთვისებლობა მის სუსტ მუშაობასა და არსებულ პრობლემებზე მიუთითებს.

— უკვე მეორედ სეკვესტრირებული 2014 წლის თბილისის ბიუჯეტი და თბილისელების პრობლემებთან აბსოლუტურად შეუსაბამო, უამბიციო 2015 წლის ბიუჯეტი — ეს არის დავით ნარმანიასა და ,,ქართული ოცნების“ თბილისის მთავრობის 4-თვიანი წარუმატებელი მუშაობის შედეგი და მათი სრული მარცხი დედაქალაქის მართვაში. განხორციელებული სეკვესტრებისა და 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში მითითებული ნაშთის ოდენობის გათვალისწინებით, დავით ნარმანიას სამთავრობო გუნდი თავად აღიარებს, რომ მათ ვერ შეძლეს 2014 წლის ბიუჯეტიდან 110 575 400 ლარის ათვისება (თუმცა კონკრეტულ პროექტებზე დაუხარჯავი თანხა გაცილებით მეტი იქნება რეალურად), რომელიც თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის 14%-ა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ პირველი 6 თვის განმავლობაში ანუ ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნისას ბიუჯეტიდან უკვე დახარჯული იყო 304 768 700 ლარი, გამოდის, რომ თბილისის მთავრობამ დარჩენილი თანხის (480 231 300) 23% ვერ აითვისა. თბილისის მთავრობის მიერ აგვისტოში ჩვენ მიერ უკვე ჩატარებული ტენდერების დადებითი შედეგების გაუქმების, დავით ნარმანიას მთავრობის მიერ ჩატარებული ტენდერების ჩაშლისა და ზოგადად ახალი სამთავრობო გუნდის სრული უუნარობის გამო უკვე მეორედ განხორციელებული სეკვესტრის შედეგად: 10 710 000 ლარით მცირდება საგზაო სამუშაოების დაფინანსება; 12 201 200 ლარით მცირდება ინფრასტრუქტურის ობიექტების (საიდანაც შეეძლოთ სატრანსპორტო კვანძების მოწესრიგება ქალაქის საცობებისგან განსატვირთად) და ავარიული შენობების გამაგრება; 2 290 800 ლარით მცირდება ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; 6 995 300 ლარით მცირდება ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; 2 370 000 ლარით მცირდება განათლების მიმართულების დაფინანსება; 5 805 300 ლარით მცირდება კულტურისა და სპორტის დაფინანსება. — აცხადებენ ფრაქციაში. მათივე განცხადებით, ყველა პრიორიტეტული მიმართულება, რომლებიც თბილისელების საჭიროებებზე რეაგირების საშუალებას აძლევდა თბილისის მთავრობას, სეკვესტრირებულია, თუმცა სეკვესტრი არ შეეხო მინისტრების კომფორტზე ზრუნვასა და ამისათვის სამთავრობო შენობების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კერძოდ, ქალაქის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე (გზების დაგება, ახალი გზების, ესტაკადების მშენებლობა და ა.შ.), ფაქტობრივად, უარის თქმის ფონზე შეუფერხებლად გრძელდება, მაგალითად, გულუას ქუჩაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის მხატვრული მინათების 434 000-ლარიანი ტენდერი.

— რაც შეეხება თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს, სამწუხაროდ, ის საერთოდ არ პასუხობს დედაქალაქში არსებულ პრიორიტეტულ გამოწვევებს და, როგორც ჩანს, 2015 წელი თბილისისთვის მნიშვნელოვანი სიახლეების გარეშე, დავით ნარმანიასა და ,,ქართული ოცნების“ მიღმა ჩაივლის. გარდა იმისა, რომ თავად არ აქვთ სწორი წარმოდგენა თბილისელების წინაშე არსებულ პრობლემებზე, ქალაქის მერიამ არ გაითვალისწინა ჩვენ მიერ შეთავაზებული არც ერთი შენიშვნა თუ წინადადება, ისეთები, როგორიც იყო კონკრეტული სატრანსპორტო კვანძების მოწესრიგება თბილისში საცობების განსამუხტად, დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში მძიმე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობების განსაახლებლად ინვესტორების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება, ბაღების ვაუჩერიზაცია, უფასო მგზავრობა და სხვ. ამ უკანასკნელთან მიმართებით გაოცებას იწვევს ,,ქართული ოცნების“ არაადეკვატური მიდგომა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. კერძოდ, დავით ნარმანია აპირებს, უფასო მგზავრობა შესთავაზოს ყოფილ პატიმრებს და ამავე შეღავათზე უარს ეუბნება სტუდენტებს, პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს; უფასო მგზავრობას სთავაზობს საბავშვო ბაღის პედაგოგებს (ეს ჩვენი მოთხოვნის მხოლოდ ნაწილის გაზიარებად შეიძლება ჩაითვალოს) და ამაზე უარს ეუბნება სკოლის პედაგოგებს.

ორჯერ სეკვესტრირებულ 2014 წლის ბიუჯეტთან შედარებითაც კი: 3 833 800 ლარით არის შემცირებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტი; 1 279 700 ლარით არის შემცირებული მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა; 2 068 000 ლარით — ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება; 2014 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2 236 700 ლარით არის შემცირებული სოციალური დაცვის მიმართულება და 6 904 500 ლარით — კომუნალური ვაუჩერის დაფინანსება, რაც კვლავ ეჭვის ქვეშ ტოვებს საკითხს, განახევრდება თუ არა კომუნალური ვაუჩერი სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის; 2015 წლის ბიუჯეტში, პირველ ვარიანტთან შედარებით, 2 009 500 ლარით არის შემცირებული ეკოლოგიისა და გამწვანების მიმართულება. — აცხადებენ ფრაქციის წევრები.

ფრაქციის წევრები კიდევ ერთ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ისინი ამბობენ, ამ შემცირებების ფონზე, 2015 წლის ბიუჯეტის პირველ ვარიანტთან შედარებით, კიდევ 157 კაცით იზრდება მერიაში მომუშავეთა რიცხოვნება (სულ 2014 წელთან მიმართებით კი ზრდა შეადგენს 227 ერთეულს). ბიუჯეტის წინა პროექტთან შედარებით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის, რომლის საერთოდ გაუქმებასაც ჰპირდებოდა თბილისელებს მერი, დაფინანსება გაზრდილია 3 040 200 ლარით.

— როგორც ჩანს, ქალაქში მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილების ფონზე ბატონი დავით ნარმანია თავს უსაფრთხოდ ვეღარ გრძნობს. მან 1 000 000 ლარით გაზარდა მერის სარეზერვო ფონდი, რომელიც 3 მილიონი გახდა. გამგეობებისა და მერიის სამსახურების მიერ წარმოდგენილი სამუშაოები, ხშირ შემთხვევაში, აღარაა ჩაშლილი მისამართების მიხედვით (რითაც განსაკუთრებით თავს იწონებდა ახალი მთავრობა), რაც აძლიერებს ბიუჯეტის პირველი ვარიანტის განხილვისას წამოჭრილ ეჭვებს შესაძლო კორუფციული ,,ფონდების“ არსებობის შესახებ ფინანსურ დოკუმენტში. 2014 და 2015 წლების ბიუჯეტების ამ მოკლე ანალიზიდან, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებული კორუფციული ეჭვებისა და დადასტურებული კანონდარღვევების ფაქტებიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ტენდერების ჩავარდნის, ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულებების გაფორმებისა და შედეგად საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის, დედაქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებისას გამოჩენილი არაპროფესიონალიზმისა და უუნარობის გამო ნათელია, რომ უნდა დადგეს თბილისის ვიცემერ ალექსანდრე მარგიშვილისა და თბილისის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი, დავით ნარმანიას კი უნდა მიეცეს კიდევ ერთი შანსი, შეძლოს პროფესიონალი და პატიოსანი კადრების შერჩევა თბილისის მთავრობის შემადგენლობისთვის, სანამ თავად მისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება! — აცხადებენ ფრაქციის წევრები.

ნაციონალური მოძრაობის წევრების მოთხოვნას ალექსანდრე მარგიშვილისა და, საერთოდ, თბილისის მთავრობის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ასრულება არ უწერია. დედაქალაქის მერი, დავით ნარმანია, აცხადებს, რომ ალექსანდრე მარგიშვილი ერთ-ერთი სანიმუშო თანამშრომელია და მის გაშვებას არსად არ აპირებს. დავით ნარმანიამ მარგიშვილის მიერ თბილისის მერის მოადგილის პოსტის დატოვების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

— ეს იყო მორიგი აგორებული ჭორი. ბატონი ალექსანდრე არსად წასვლას არ აპირებს და არც მე ვაპირებ, შევცვალო მას. ის არის ძალიან გამოცდილი კადრი, ძალიან სანდო და ერთგული ადამიანი, ამიტომ ვადასტურებ, რომ ეს საკითხი იყო ჭორი და დღის წესრიგიდან მოხსნილია. — განაცხადა დავით ნარმანიამ, თავად ალექსანდრე მარგიშვილმა კი თავისი გადადგომის შესახებ ჭორების გავრცელება ოპონენტებისა და არამზადების სურვილს დაუკავშირა.

— მე გავრცელებულ ინფორმაციას ვუკავშირებ ჩვენი ოპონენტებისა და, ზოგადად, არამზადების სურვილს, რომ რაღაც ბზარი შეიტანონ მერიის მუშაობაში, რომელიც, მათდა სამწუხაროდ, არ გამოუვათ! — განაცხადა ალექსანდრე მარგიშვილმა.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ლიბერთი ბანკმა“ მშობელთა ხიდს“ ოცნება აუხდინა

ნათია ხურცილავა

### „ლიბერთი ბანკის“ ხელშეწყობით გუშინ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განახლებული დღის ცენტრი გაიხსნა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდი“ 2004 წელს გაიხსნა. ცენტრისთვის განკუთვნილი ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები „ლიბერთი ბანკის“ საშუალებით განხორციელდა. ერთ-ერთი ოთახი, რომელიც სწორედ „ლიბერთი ბანკმა“ გაარემონტა, ბანკის ფერებშია გადაწყვეტილი. წითლისა და თეთრის კომბინაცია ბავშვებში დადებით

ემოციებს იწვევს, თუმცა ცენტრის ბენეფიციარებისთვის ზედმეტი ფუფუნება არ იქნება ქველმოქმედი კომპანიებისა და კეთილი ადამიანების გამოხმაურება. ამ ბავშვებისთვის, როგორც ერთ-ერთმა აღმზრდელმა გვითხრა, სითბო და ყურადღება ერთგვარი თერაპიაა.

ცენტრში „ლიბერთი ბანკის“ დახმარებით განახლებული სასადილო გაიხსნა, რომელიც ბენეფიციართა ორჯერად კვებას უზრუნველყოფს.

ცენტრი ყოველდღიურად 45 ბენეფიციარს ემსახურება და თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური პროგრამის საფუძველზე ხორციელდება მუსთერაპია, არტთერაპია, ქორეოგრაფია, შრომათერაპია, დრამთერაპია.

გუშინ დღის ცენტრში დიდი სტუმრიანობა იყო. სტუმრებს ბავშვები მომზადებული პროგრამით დახვდნენ. ცენტრის აღსაზრდელებმა სხვადასხვა მუსიკალური ნომერი შეასრულეს. ქართულ ფოლკლორს ტამტამები ცვლიდა, იყო საცეკვაო ნომერიც.

ცენტრში მისულ სტუმრებს სიურპრიზიც ელოდათ. ბავშვების მიერ გაკეთებული ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენის დათვალიერების შემდეგ სტუმრები დასაჩუქრდნენ სხვადასხვა ნაკეთობითა და ნახატით. ერთ-ერთი საჩუქარი პრემიერ-მინისტრსაც ხვდა. ირაკლი ღარიბაშვილის წარმომადგენელმა პირობა დადო, რომ აღნიშნული ცენტრის შესახებ მოუყვებოდა პრემიერს და უახლოეს მომავალში ინახულებდა კიდეც ბავშვებს.

როგორც „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ დღის ცენტრში სტუმრობისას განაცხადა, ბანკი მსგავს პროექტებში მონაწილეობას მომავალშიც მიიღებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდის“ დამფუძნებელმა თეონა ყაჭეიშვილმა „ლიბერთი ბანკს“ მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ მსგავს პროექტებში სხვა ორგანიზაციებიც მიიღებენ მონაწილეობას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდი“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობლებმა 1998 წელს დააარსეს, ხოლო 2004 წელს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დღის ცენტრი გაიხსნა, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები „ლიბერთი ბანკის“ საშუალებით განხორციელდა. ცენტრი ყოველდღიურად 45 ბენეფიციარს ემსახურება.

**გიორგი არველაძე, „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი:**

— ძალიან მიხარია, რომ „ლიბერთი ბანკმა“ შეძლო, მოკრძალებული წვლილი შეეტანა არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდის“ მიერ ინიცირებული პროექტის განხორციელებაში, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღის ცენტრის რეაბილიტაციას. რა თქმა უნდა, ეს არის ის პრობლემა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში გადაჭრილი უნდა იყოს. ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების ფარგლებში ერთ-ერთი წამყვანი საკითხი სწორედ ეს იქნება. შევეცდებით, ამ მიმართულებით ქვეყანაში მდგომარეობა გაუმჯობესდეს და ამ პრობლემის გადაჭრაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. არ გამოვრიცხავ, მომავალში ამ ცენტრთან ურთიერთობა უფრო გავაღრმაოთ.

**თეონა ყაჭეიშვილი, კავშირ „მშობელთა**



**ხიდის“ დამფუძნებელი:**

— „მშობელთა ხიდი“ 10 წელია ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს. 50-მდე ბენეფიციარი ყოველდღიურად დადის დღის ცენტრში. 38-მდე ბავშვი სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით არის დაფინანსებული, მაგრამ, ჩვენთან არიან ბავშვები, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, მოხალისედ უტარდებათ სხვადასხვა გაკვეთილი, ასევე ამ ბავშვებს უტარდებათ თერაპიული აქტივობები. ცენტრში მოსული ბავშვი აუცილებლად იღებს ლანჩსა და სამკომპონენტიან სადილს. „ლიბერთი ბანკმა“, ფაქტობრივად, ოცნება აგვიხდინა. მოხდა ცენტრის სასადილოსა და მიმდებარე ფოიეს რეაბილიტაცია, ასევე გარემონტდა სველი წერტილები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვა იმას, რომ ეს სივრცე ადაპტირებულია ყველა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის. თუ სხვა ბიზნესორგანიზაციები, კეთილი ადამიანები მიბაძავენ „ლიბერთი ბანკს“, ძალიან კარგი იქნება. ეს არის სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითი. სამწუხაროდ, ერთეული კომპანიებია, რომლებიც ახორციელებენ სოციალური პასუხისმგებლობით დატვირთულ პროექტებს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად ძალიან გვიჭირს, კვირაში სამჯერ ტარდება მუსთერაპია, ასევე კვირაში სამჯერ მოდის ფსიქოლოგი. ჩვენს ცენტრში არიან ბავშვები, რომლებსაც კომბინირებული პრობლემები აქვთ. ეს ძალიან რთული შემთხვევაა. ჩვენ წინაშე ასევე დგას მენტალური ბარიერები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოიხსნას. ჩვენმა საზოგადოებამ ამ მიმართულებით ნაბიჯი უნდა გადადგას. დღის ცენტრში არიან აუტისტური სპექტრის, ასევე ღრმა გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვები. ამ ბავშვების წარმატებები, ლექსისა თუ სიმღერის ათვისება ძალიან დიდი შრომის შედეგია. პედაგოგების მაღალი დონისა და პროფესიონალიზმის, დაუღალავი შრომის შედეგია ის, რასაც ეს ბავშვები დღეს აკეთებენ. მათ რომ სიმღერა, ცეკვა, ლექსის წაკითხვა შეუძლიათ, უდავოდ პედაგოგების დამსახურებაა. ჩვენ კიდევ ერთი მიმართულებით ვმუშაობთ, რომ როგორმე შევუნარჩუნოთ ბავშვებს ოჯახები. მშობლები დილით, სამსახურში წასვლის წინ მოდიან, ტოვებენ ბავშვებს და საღამოს მიჰყავთ სახლში. რვა საათის განმავლობაში ბავშვები ჩვენთან არიან.



**ალიონა ქუთუნჯიანი, მუსიკის მასწავლებელი:**

— ჩვენი ბავშვები ბუნებით მუსიკალურები არიან. შინაგანად ძალიან დადებითი განწყობები აქვთ. ეს ბავშვები კეთილშობილები არიან. ასეთი პრობლემების მქონე ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი ემოციები, რომელსაც მუსიკა, ხელოვნების სხვა დარგები იწვევს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მუსიკაა, რომლის მოსმენის, სწავლის შემდეგ თითქოს ისინი სხვა ადამიანები ხდებიან. როდესაც პროფესიონალი მუსიკოსი ხარ, ცხადია, მაქსიმუმს ითხოვ და ცდილობ, რაღაც დონეზე მაინც გააკეთო საქმე, მაგრამ უმთავრესი მთელ ამ პროცესში არის თერაპია, ის, რომ ამ დროს ეს ბავშვები ბედნიერები არიან. ვერ წარმოიდგენთ, შედეგი როგორ უხარიათ. უხარიათ და ბედნიერები არიან, ერთი სიმღერა რომ ისწავლონ, სწორი ილეთი გააკეთონ. ერთი სიმღერისა თუ საცეკვაო ილეთის ათვისება ძალიან უჭირთ, მაგრამ მისი შესწავლა მათთვის უდიდესი ბედნიერებაა. ამ დროს, ცხადია, შენც ბედნიერი ხარ. ეს ერთგვარი ჯაჭვია. მათი გაბრწყინებული თვალები, სახეები იმდენად დიდი მუხტი და დადებითი ემოციაა, რომ მთელი სირთულე, რომელიც გაკვეთილის ათვისების დროს არის, ამ ემოციით ბათილდება. უნდა გითხრათ, რომ ჩამოვაყალიბეთ მუსიკალური ბენდი. ინსტრუმენტები გარკვეული პროგრამის ფარგლებში ინგლისიდან ჩამოგვივიდა. ვერ წარმოიდგენთ, ეს რამხელა სიხარული იყო ამ ბავშვებისთვის.

**მაია ბუჩუკური, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი:**

— ორგანიზაცია „მშობელთა ხიდი“ წლების განმავლობაში ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას. ორგანიზაცია დღის ცენტრებით ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. ცენტრი ფუნქციონირებს ბავშვებისთვის და 13 წელს ზევით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. წელს სიახლეა დაფინანსების კუთხით. ეს სასიამოვნო სიახლეა ჩვენთვისაც და მშობლებისთვისაც. ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს სახელმწიფო 100 პროცენტით აფინანსებს.

**ალექსანდრე ტეფნაძე, 22 წლის:**

— დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, კარგად დავუკარი, მე ტამტამზე ვუკ-



რავ. ტამტამზე დაკვრას 9 წელი ვსწავლობდი. უკვე, შეიძლება ითქვას, პროფესიონალი ვარ. სკოლა რომ დავამთავრე, ამ ცენტრში მოვედი და ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი მასწავლებელი, ლევანი, რომელიც ინსტრუმენტზე დაკვრას მასწავლის, ჩემი მეგობარია. მასთან ურთიერთობა კარგად გამომდის. ასევე ნამუშევრებიც მაქვს ხეში, ჩანახატებიც მაქვს. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რომ ის, რასაც ვაკეთებ, კარგად გამომივიდეს. როდესაც კარგად გამომდის, მიხარია. ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ რაც შეიძლება უფრო დავხვეწო ჩემი მუსიკა. მინდა, მუსიკას გავყვე. ყველასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. ჩვენ აქ მეგობრები ვართ.

ალექსანდრესთან ინტერვიუს როდესაც ვწერდით, მას მისი მეგობარი, კოტე, ამხნევებდა. კოტემ გვითხრა, რომ მასაც შეუძლია, თავისი ცხოვრების შესახებ მოგვიყვეს.

**კოტე კუკავა, 14 წლის:**

— დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ლიბერთი ბანკს“. ძალიან კარგი დღე იყო. ბევრი სტუმარი მოვიდა. ძალიან მომწონს აქაურობა. დილით მოვდივარ. აქ მეგობრები მხვდებიან, ასევე — მასწავლებლები. ჩემდა სამწუხაროდ, არის დღეები, როდესაც სხვანაირ განწყობაზე ვარ, მაგრამ, არის დღეები, როდესაც მიხარია და ვსწავლობ სიმღერას, ცეკვას, ლექსებს. მერე კონცერტებს ვმართავთ, ასევე ვხატავთ. ერთხელ ჩემი ნახატების გამოფენაც მქონდა. ის დღე არასდროს დამავიწყდება. ბედნიერი ვიყავი.



# აშშ-ის სენატმა ისტორიული დადგენილება მიიღო

## უკრაინას, შესაძლოა, ნატოში გაწევრიანების გარეშე აშშ-ის მოკავშირის სტატუსი მიანიჭონ

„სიჩუმის დღეების“ მიუხედავად, დონბასში შეტაკებები გრძელდება. სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები უკრაინელ სამხედროებზე თავდასხმებს განაგრძობენ. უკანასკნელი შეტაკებების შედეგად არის მსხვერპლი. დაღუპულია ოთხი უკრაინელი სამხედრო. 8 დაიჭრა.

— განსაკუთრებით მწვავე ვითარება დონეცკის აეროპორტთან შეიქმნა,— იტყობინება ტსნ.

რუსეთის მზარდმა აგრესიამ დასავლეთს, უწინარეს ყოვლისა კი აშშ-ს, შესაბამისი მოქმედებებისაკენ უბიძგა. როგორ დავეხმაროთ უკრაინას? აშშ-ში ამ საკითხის გარშემო ცხარე დებატები გაიმართა. რუსეთი კი ამასობაში ახალ-ახალ პროვოკაციებს ამზადებდა. მისი მიზანი დონეცკის აეროპორტის ხელში ჩაგდება იყო.





— უკრაინელები ქედის მოხრას არ აპირებდნენ. ომის შეჩერების ერთადერთი საშუალება დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის უფრო მეტი გააქტიურება გახდა— იტყობინება ბი-ბი-სი.

ყველაფერმა ამან აშშ-ის სენატის დადგენილებაც განაპირობა.

### პუტინის მიზანი დონეცკის აეროპორტია

დონეცკის აეროპორტი ორივე მეომარი მხარისათვის ერთგვარ სიმბოლოდ გადაიქცა. უკრაინელებისთვის ეს კაზაკური სულის აღორძინების სიმბოლოა, რუსებისათვის— თავიანთი უძლურების ნათელი მაჩვენებელი. აეროპორტს ხომ მედესანტეები, ფსბ-სა და გრუ-ს სპეციალური ნაწილები უტევდნენ. უკრაინელებმა ყველა იერიში მოიგერიეს. მტერმა უდიდესი დანაკარგები განიცადა:

— მხოლოდ უკანასკნელ შეტევისას 300-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა,— იტყობინება ტსნ.

აეროპორტის ხელში ჩაგდება პუტინისათვის უკვე ღირსების საქმეა. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩიც ახალ პროვოკაციას ამზადებს, რათა აეროპორტზე კონტროლი ახალ წლამდე დაამყაროს. უკრაინელ პოლიტოლოგ იგორ პონომარის აზრით, რუსეთის მხარე ევროპელებთან აქტიურად მუშაობდა, რათა მინსკში საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი შეეთანხმებინა. ყველაფერი, ფაქტობრივად, შეთანხმებული იყო. ღიად მხოლოდ დონეცკის აეროპორტის საკითხი რჩებოდა.

— პუტინმაც ყველაფერი იღონა საიმისოდ, რათა მინსკის შეხვედრა გადადებულიყო. ამ დროის მანძილზე ის აეროპორტის ხელში ჩაგდებას შეეცდება,— წერს პონომარი.

### რუსეთიდან ჯარისკაცების, ბოევიკებისა და სამხედრო ტექნიკის ახალი ნაკადები შემოედინებიან

9 დეკემბრიდან პრეზიდენტ პოროშენკოს ინიციატივით დონბასში სიჩუმის დღეები დადგა. სეპარატისტებმაც განაცხადეს, თანახმად შეთანხმებისა, მძიმე ტექნიკის გაყვანა დავიწყეთო, თუმცა ეს ბლეფი აღმოჩნდა.

— პირიქით, რიგ უბნებში მძიმე ტექნიკისა და ბოევიკების კონცენტრაცია შეინიშნება,— იტყობინება ტსნ.

ერთ-ერთი ასეთი რეგიონი დონეცკის აეროპორტია. მას კვლავაც უკრაინელები აკონტროლებენ, მაგრამ აეროპორტის მახლობლად განთავსებული ბოევიკები თავიანთ პოზიციებს კვლავაც ინარჩუნებენ. მეტიც, უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქ სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია შეინიშნება. გრძელდება რუსეთიდან ბოევიკების გადმოსროლაც.

— 11 დეკემბერს დონბასში ჩეჩენ მოხალისეთა ბატალიონი შემოვიდა,— აღიარებს სეპარატისტების საიტი „რუსსკაია ვესნა“.

### აეროპორტზე შეტევები არ ცხრება

სიჩუმის რეჟიმის მიუხედავად, სეპარატისტები აეროპორტზე შეტევებს არ წყვეტენ. 11 დეკემბერს აეროპორტის მართულებით ოთხი შეტევა განხორციელდა. აეროპორტში გამაგრებულმა უკრაინელმა „კიბორგებმა“ ისინი მოიგერიეს. ამის შემდეგ რუსებმა აეროპორტს ნაღმმტყორცნები დაუშინეს:

— 11-12 დეკემბერს აეროპორტის ტერიტორია ოთხჯერ დაიბომბა,— იტყობინება უკრაინის უშიშროების საბჭო.

„კიბორგებმა“ მტერს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი არც ამჯერად დაანებეს. უკრაინელები აკონტროლებენ როგორც ახალ ტერმინალს, ასევე დისპეტჩერულ კოშკსა და ყველა მნიშვნელოვან ობიექტს. ძველი ტერმინალი მთლიანად ჩამონგრეულია და იქ ჯარისკაცების ყოფნას უბრალოდ აზრი არა აქვს.

— თუკი უკრაინელი ფაშისტები აეროპორტს არ დატოვებენ, იქაურობა ჰაერიდან დაიბომბება,— განუცხადა ჟურნალისტებს „დონეცკის რესპუბლიკის“ მეთაურმა ზახარჩენკომ.

ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თქვენს განკარგულებაში რამდენი საბრძოლო თვითმფრინავიაო, ზახარჩენკომ არაფერი უპასუხა. ტუჩებზე ღიმილმა გაუელვა.

### პირველი სერიოზული დარტყმები რუსულ აგენტურაზე

ექსპერტების აზრით, დღეისათვის აეროპორტზე დარტყმის ორი ვარიანტი განიხილება: 1) იქ მყოფ კიბორგებს შორის შუღლის პროვოცირება, შემდეგ კი ელვისებური დარტყმით აეროპორტის დაკავება; 2) აეროპორტის ჰაერიდან ბომბარდირება, პარალელურად საჰაერო დარტყმების განხორციელება ავდეევკაზე, პესკიზე, მარინკაზე.

— თუკი უკრაინული მხარე წინააღმდეგობის გაწევას მოინდომებს, არ არის გამორიცხული დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიესა და თვით კიევის ბომბარდირებაც კი,— თვლის პონომარი.

დონეცკში საკმაოზე მეტი რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცია. ისინი დონეცკის ქუჩების პატრულირებას ახორციელებენ. კომენდანტის საათის რეჟიმი რუსი ჯარისკაცების წყალობით ხორციელდება. ის 23 საათზე იწყება და დილის 6 საათამდე გრძელდება.

— „დონბასელ მოლაშქრეთა“ უმრავლესობა გალოთებული ლუმპენებია. მათ ძარცვა-გლეჯის მეტი არაფერი ძაულთ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკამ“ ქალაქში წესრიგის დაცვა რუს ჯარისკაცებს დააკისრა,— იტყობინება მე-5 არხი.

რუსი ჯარისკაცები სამხედრო მოქმედებებშიც აქტიურად მონაწილეობენ. აეროპორტზე უკანასკნელი იერიშის დროს ტანკებზე რუსული დროშები იყო აღმართული. „კიბორგებმა“ ყველა შეტევა მოიგერიეს, თუმცა მორიგი დარტყმების განხორციელება რეალურია. კარს მომდგარმა საფრთხემ აიძულა უკრაინელები, ქმედითი ღონისძიებები განეხორციელებინათ რუსული აგენტურის წინააღმდეგ, რომელმაც ყველგან, მათ შორის ანტიტერორისტული ოპერაციის მთავარ შტაბშიც, მოიკალათა.

— ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბი რუსეთის აგენტურისაგან მთლიანადაა გათავისუფლებული. ჩვენ გამოვავლინეთ და დავაპატიმრეთ ისინი, ვინც უკრაინის წინააღმდეგ მუშაობდა,— განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფმა ვალენტინ ნალივაიჩენკომ.

ტელეკომპანია „ინტერის“ ცნობით, სამშობლოს ღალატის ბრალდებით უკვე 235 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ამრიგად, გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯი უკრაინაში მოქმედ რუსული აგენტურის გასანადგურებლად. ამას, ალბათ, სხვა ნაბიჯებიც მოჰყვება და მოსკოვის მეხუთე კოლონა საბოლოოდ იქნება ლიკვიდირებული.

### ისტორიული დადგენილება

საფრთხემ, რომელიც რუსეთის მხრივ უკრაინას ემუქრება, აგრეთვე უკრაინელი ხალხის ერთსულოვნებამ და მართლაც გმირულმა ბრძოლამ აიძულა დასავლეთი, უფრო აქტიურად ემოქმედა.

— უკრაინელები რომ ბელორუსებივით პასიურნი ყოფილიყვნენ, ამხელა აჟიოტაჟი ნამდვილად არ ატყდებოდა,— თვლის რადიო „თავისუფლება“.

დემოკრატიული სამყაროს ლიდერის როლი ამჯერადაც აშშ-მ იკისრა, თუმცა უკრაინის მიმართ ერთსულოვნება არც აქ იყო. უკრაინულ დიასპორასა და უკრაინულ დიპლომატიას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა აშშ-ის კონგრესის უმრავლესობა უკრაინისადმი ქმედით დახმარებაზე დათანხმებულიყო. ეს მართლაც ძალიან ძნელი გახლდათ, რადგანაც პრეზიდენტი ობამა არათუ უკრაინისათვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგია, ახალი სანქციების ამოქმედებასაც კი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა.

— ამან, შესაძლოა, აშშ-სა და ევროპას შორის უფსკრული წარმოშვას,— თქვა მან.

ზბიგნევ ბზეჟინსკის განცხადებამ ბევრი გააოცა. მან უკრაინის ნატოში შესაძლო მიღების პერსპექტივა უარყოფითად შეაფასა:

— ეს კარგს არაფერს მოიტანს, — აღნიშნა ბზეჟინსკიმ.

ამ თეზისის დამამტკიცებელ არგუმენტად შემდეგი ფაქტორები მოიყვანა: 1) უკრაინის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა; 2) უკრაინული დემოკრატიის სისუსტე; 3) ის, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რეალურად რუსეთის საზღვრებს მიადგება, რამაც, შესაძლოა, გლობალური კონფლიქტი გამოიწვიოს.

— თუკი უკრაინას ნატოში მიიღებენ, ამით ჩრდილოატლანტიკური ბლოკის საზღვრები ვოლგოგრადს ანუ ყოფილ სტალინგრადს მიუახლოვდება! აქედან უკრაინულ ხარკოვამდე არცთუ შორია!— ამბობს ბზეჟინსკი.

ამ სიტყვებმა როგორც აშშ-ში, ისე უკრაინაში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. უკრაინელი პატრიოტები თავიანთ აღშფოთებას ვერ მალავდნენ:

— როგორც ჩანს, ბატონი ბზეჟინსკი დაბერდა და გუშინდელი დღის კრიტერიუმებიდან გამომდინარე მსჯელობს,— განაცხადა პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა.

აშშ-ის კონგრესის უმრავლესობა ბზეჟინსკის მოსაზრებებს არ დაეთანხმა. 11 დეკემბერს აშშ-ის სენატმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ისტორიული დადგენილება მიიღო: „უკრაინაში თავისუფლების მხარდაჭერისათვის“— ასეთია ამ დადგენილების სათაური. მის თანახმად, უკრაინა ცხადდება აშშ-ის მოკავშირედ ნატოში მიღების გარეშე, მას გაეწევა აუცილებელი ფინანსური თუ სამხედრო დახმარება, მათ შორის განხორციელდება უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებაც. უკრაინას გაეწევა დახმარება რუსეთის ძირგამომთხრელ პროპაგანდასთან ბრძოლაში, ენერგეტიკული სისტემის მოდერნიზაციაში, იძულებით გადაადგილებულ პირთა რეაბილიტაციაში და ა.შ. დადგენილება მხარს უჭერს რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების მოქმედებას და ა.შ.

— სენატის დადგენილება ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ აშშ გმირი უკრაინელი ხალხის გვერდით დგას,— განაცხადა სენატორმა მენდესმა, რომლის ინიციატივითაც მიღებულ იქნა ხსენებული დადგენილება.

ჟურნალისტებთან საუბარში მენდესმა აღნიშნა, რომ აშშ-მ პუტინს ნათელი გზავნილი გაუგზავნა: დასავლეთი, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას არ შეეგუებიან და უფრო რადიკალურ ქმედებებზეც უკან არ დაიხევენ.

— უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს! რუსულმა არმიამ უნდა დატოვოს როგორც დონბასის ოკუპირებული ნაწილი, ასევე ყირიმიც. პუტინმა კი აგრესიულ პოლიტიკაზე ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვას, რადგანაც ეს რუსეთისათვის დამანგრეველი იქნება,— თქვა მენდესმა.

### როგორ მოიქცევა ობამა?

ამრიგად, ისტორიული დადგენილება მიღებულია, თუმცა ის, რომ კანონად იქცეს, მას მხარი უნდა დაუჭიროს წარმომადგენლობითმა პალატამაც, შემდეგ კი პრეზიდენტმა ხელი მოაწეროს. ამას კი გარკვეული დრო დასჭირდება. ობამა მართლაც დიდხანს იყოყმანებს, სანამ ხელს მოაწერს. ბიზნესმენებთან შეხვედრისას მან განაცხადა:

— ჩემი აზრით, შეცდომაა იმისი ფიქრი, რომ დამატებითი სანქციების შემოღება კონფლიქტის მოგვარებას ხელს შეუწყობს. პირიქით, ეს ევროპელებს გააღიზიანებს. რუსეთიც უფრო გათავხედდება, თუკი დაინახავს, რომ ჩვენსა და ჩვენს ევროპელ მოკავშირეებს შორის ბზარი გაჩნდა!

ასეა თუ ისე, სენატმა უკრაინის მხარდამჭერი დადგენილება მიიღო. ამით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა უკრაინა— აშშ-ს კიდევ უფრო დაახლოებისათვის. სენატის მიერ მიღებული დადგენილება ცხადლივ მიუთითებს იმაზე, რომ აშშ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას არ შეეგუება. გმირი უკრაინელი ხალხის ბრძოლაც გამარჯვებით დასრულდება.

**ნიკა თევზაძე**

# ინციდენტი მოსკოვში



ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურ რამზან კადიროვის გადაწყვეტილებამ, ტერორისტების ნათესავებისთვის სახლები დაენგრია, ბევრი აღაშფოთა. რუსეთის პრეზიდენტთან არსებულმა „ადამიანის უფლებების დაცვის“ კომიტეტის წევრმა, კალიაგინმა, ამ გადაწყვეტილებას უკანონო და ანტიჰუმანური უწოდა. პრესკონფერენციაზე კალიაგინმა განაცხადა:

— ბატონი კადიროვის უკანასკნელი გადაწყვეტილება რუსეთის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

ანაზდად შენობაში, სადაც პრესკონფერენცია მიმდინარეობდა, კავკასიური გარეგნობის რამდენიმე ახალგაზრდა შემოიჭრა. „ჩვენ რამზან კადიროვის მომხრეები ვართ. ნებას არ მოგცემთ, ჩვენს პრეზიდენტს შეურაცხყოფა მიაყენოთ!“— გაჰკიოდნენ ისინი. მათ კალიაგინს კვერცხები დაუშინეს. ყმაწვილები ისევე ანაზდად გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ. მათი დაკავება არავის უცდია.

**ნ. თ.**

# ნადეჟდა სავჩენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა



— უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა,— იტყობინება მისი ადვოკატი ილია ნოვიკოვი. მისი ცნობით, სავჩენკოს არანაირ აუცილებელ სამედიცინო დახმარებას არ უწევენ, რის შედეგადაც მარჯვენა ყურში, რომელიც ჯერ კიდევ სექტემბერში გაუცივდა, პრაქტიკულად, სმენა დაკარგა.

— ამას გარდა, საკანში კიდევ ერთი ქალი ჩაუსვეს,— ამბობს ნოვიკოვი.

აქამდე სავჩენკო საკანში მარტო იჯდა. მისი ახალი მეზობელი ყაჩაღობასა და ძარცვაშია ეჭვმიტანილი. ექსპერტების აზრით, ის მფრინავს იმიტომ ჩაუსვეს, რომ სულიერად გატეხონ. ფსბ მოითხოვს, სავჩენკომ უკრაინის ახალი ხელისუფლება დაგმოს და პარლამენტის დეპუტატობაზე უარი თქვას.

— ამ მიზნით მასზე ხორციელდება ზეწოლა,— თვლის მე-5 არხი.

**ნ. თ.**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცარია და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# დიდი ჯახი ინგლისში — მანჩესტერი-ლივერპული




### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.12 სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 13.12 კრ.პალასი-სტოკი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 13.12 ლესტერი-სიტი | 6.5 | 4.75 | 1.44 |
| 13.12 ჩელსი-ჰალი | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 13.12 ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 13.12 ბარნლი-საუთჰემპტონი | 5.0 | 3.5 | 1.75 |
| 13.12 არსენალი-ნიუკასლი | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 14.12 მანჩესტერი-ლივერპული | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 14.12 სუონსი-ტოტენჰემი | 2.5 | 3.3 | 2.75 |
| 15.12 ევერტონი-ქპრ | 1.44 | 4.33 | 7.5 |

**სანდერლენდი-ვესტ ჰემი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-პატრიკ ვამ ანჰოლტი, ბილი ჯოუნსი, ემანუელ ჰიაჩერინი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-კარლ ჯენკინსონი

**კრ.პალასი-სტოკი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ადრიან მარიაპა

სტოკი: ***ტრავმ***-მარკ უილსონი, მარკო არნაუტოვიჩი, მარკ მუნიესა, სტივ სიდვეული, ვიქტორ მოიესი, პიტერ ოდემვინი

**ლესტერი-სიტი**

ლესტერი: ***ტრავმ***-ლეანდრო ულოა

სიტი: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო

**ჩელსი-ჰალი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ჰალი: ***ტრავმ***-მოჰამედ დიამე, რობერტ სნოდგრასი

**ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-იონას ოლსონი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ეშლი ვესტვუდი, ჯო კოული, ნათან ბაკერი, ფილიპ სენდეროსი, ფაბიან დელფი

**ბარნლი-საუთჰემპტონი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ნათანიელ ჩალობა, შტეფან უორდი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მორგან შნეიდერლინი, ჯაკ კორკი, ჯეიმს უორდ-პრაისი

**არსენალი-ნიუკასლი**

არსენალი: ***ტრავმ***-ტომაშ როსიცკი, ნაჩო მონრეალი, მიკელ არტეტა, ჯეკ უილშირი, თეო უოლკოტი, მესუთ ოზილი, მეთიუ დებუში

ნიუკასლი: ***ტრავმ***-მეჰდი აბიდი, რობერტ ელიოტი, ტიმ კრული, რაიან ტეილორი, გაბრიელ ობერტანი; ***დისკვ***-სტივენ ტეილორი, მუსა სისოკო

**მანჩესტერი-ლივერპული**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-კრის სმოლინგი, ტომ ტორპე, დელი ბლინდი, ფილ ჯონსი, იესე ლინგარდი

ლივერპული: ***ტრავმ***-კოლო ტურე, დანიელ სტარიჯი

**სუონსი-ტოტენჰემი**

სუონსი: ***ტრავმ***-ფედერიკო ფერნანდესი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ვლად კირიკეში

**ევერტონი-ქპრ**

ევერტონი: ***ტრავმ***-ჯონ სტოუნზი

ქპრ: ***ტრავმ***-სანდრო, ადელ ტააბარტი, ალეხანდრო ფორლინი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 15 | 11 | 3 | 1 | 34-13 | 36 |
| სიტი | 15 | 10 | 3 | 2 | 32-14 | 33 |
| მანჩესტერი | 15 | 8 | 4 | 3 | 26-17 | 28 |
| ვესტ ჰემი | 15 | 8 | 3 | 4 | 26-18 | 27 |
| საუთჰემპტონი | 15 | 8 | 2 | 5 | 25-12 | 26 |
| არსენალი | 15 | 6 | 5 | 4 | 24-18 | 23 |
| ნიუკასლი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-18 | 23 |
| სუონსი | 15 | 6 | 4 | 5 | 20-17 | 22 |
| ლივერპული | 15 | 6 | 3 | 6 | 19-19 | 21 |
| ტოტენჰემი | 15 | 6 | 3 | 6 | 18-21 | 21 |
| ასტონ ვილა | 15 | 5 | 4 | 6 | 10-19 | 19 |
| ევერტონი | 15 | 4 | 6 | 5 | 24-23 | 18 |
| სტოკი | 15 | 5 | 3 | 7 | 17-20 | 18 |
| სანდერლენდი | 15 | 2 | 9 | 4 | 13-23 | 15 |
| კრ. პალასი | 15 | 3 | 5 | 7 | 18-23 | 14 |
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 3 | 5 | 7 | 14-20 | 14 |
| ქპრ | 15 | 4 | 2 | 9 | 16-27 | 14 |
| ჰალი | 15 | 2 | 7 | 6 | 15-21 | 13 |
| ბარნლი | 15 | 2 | 6 | 7 | 10-24 | 12 |
| ლესტერი | 15 | 2 | 4 | 9 | 15-26 | 10 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.12 ხეტაფე-ბარსელონა | 13.0 | 6.0 | 1.22 |
| 13.12 ვალენსია-რაიო | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 13.12 კორდობა-ლევანტე | 2.1 | 3.1 | 3.8 |
| 13.12 მალაგა-სელტა | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 14.12 ესპანიოლი-გრანადა | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 14.12 სევილია-ეიბარი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 14.12 ატლეტიკო-ვილიარეალი | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 14.12 სოსიედადი-ბილბაო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 15.12 დეპორტივო-ელჩე | 2.2 | 3.1 | 3.5 |

**ხეტაფე-ბარსელონა**

ხეტაფე: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ფრედი ჰინესტროზა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი

**ვალენსია-რაიო**

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დანი პარეხო, პაკო ალკასერი

რაიო: ***ტრავმ***-დავიდ კობენო, ზე კასტრო, მოჰამედ ფატაუ; ***დისკვ***-რობერტო ტრაშორასი

**კორდობა-ლევანტე**

კორდობა: ***ტრავმ***-იაგო ბუზონი; ***დისკვ***-დანიელ პინილიოსი

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ

**მალაგა-სელტა**

მალაგა: ***ტრავმ***-სერხიო სანჩესი, ხაიმე ხიმენესი

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

**ესპანიოლი-გრანადა**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ფრანსისკო მონატანესი

გრანადა: ***ტრავმ***-რუბენ როჩინა; ***დისკვ***-დიმიტრი ფოლკერი

**სევილია-ეიბარი**

სევილია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დანიელ კარიკო

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

**ატლეტიკო-ვილიარეალი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-მატეო მუსაკიო

**სოსიედადი-ბილბაო**

სოსიედადი: ***ტრავმ***-მარკელ ბერგარა, გორკა ელუსტონდო, ხოსება ზალდუა, იმანოლ აგირეჩე

ბილბაო: ***ტრავმ***-ხავიერ ეჩეიტა

**დეპორტივო-ელჩე**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლუკასი

ელჩე: ***ტრავმ***-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 14 | 12 | 0 | 2 | 51-12 | 36 |
| ბარსელონა | 14 | 11 | 1 | 2 | 36-7 | 34 |
| ატლეტიკო | 14 | 10 | 2 | 2 | 27-12 | 32 |
| სევილია | 14 | 9 | 2 | 3 | 25-17 | 29 |
| ვალენსია | 14 | 7 | 4 | 3 | 25-13 | 25 |
| ვილიარეალი | 14 | 7 | 3 | 4 | 23-14 | 24 |
| მალაგა | 14 | 7 | 3 | 4 | 17-14 | 24 |
| სელტა | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| ეიბარი | 14 | 5 | 4 | 5 | 19-21 | 19 |
| ბილბაო | 14 | 5 | 3 | 6 | 12-15 | 18 |
| რაიო | 14 | 5 | 2 | 7 | 16-25 | 17 |
| ხეტაფე | 14 | 4 | 3 | 7 | 11-19 | 15 |
| ესპანიოლი | 14 | 3 | 5 | 6 | 15-22 | 14 |
| სოსიედადი | 14 | 3 | 4 | 7 | 15-20 | 13 |
| ლევანტე | 14 | 3 | 4 | 7 | 11-29 | 13 |
| გრანადა | 14 | 2 | 6 | 6 | 8-23 | 12 |
| ალმერია | 14 | 2 | 4 | 8 | 11-20 | 10 |
| კორდობა | 14 | 1 | 7 | 6 | 11-22 | 10 |
| დეპორტივო | 14 | 2 | 4 | 8 | 12-24 | 10 |
| ელჩე | 14 | 2 | 4 | 8 | 12-29 | 10 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.12 პალერმო-სასუოლო | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 13.12 ლაციო-ატალანტა | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 14.12 იუვენტუსი-სამპდორია | 1.35 | 4.75 | 9.0 |
| 14.12 უდინეზე-ვერონა | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 14.12 პარმა-კალიარი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 14.12 ჯენოა-რომა | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 14.12 ჩეზენა-ფიორენტინა | 6.5 | 3.8 | 1.55 |
| 14.12 მილანი-ნაპოლი | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 15.12 ემპოლი-ტორინო | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 15.12 კიევო-ინტერი | 4.4 | 3.4 | 1.85 |

**პალერმო-სასუოლო**

პალერმო: ***ტრავმ***-გრანდი ნგოი

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ

**ლაციო-ატალანტა**

ლაციო: ***ტრავმ***-ანტონიო კანდრევა, მაიკლ ჩიანი, ბრუნო პერეირა, სანტიაგო ჯენტილეტი

ატალანტა: ***ტრავმ***-კრიატიან რაიმონდი, მარსელო ესტიგარიბია

**იუვენტუსი-სამპდორია**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-რომულო, კვადვო ასამოა, მარტინ კასერესი, ანდრეა ბარძალი

სამპდორია: ***ტრავმ***-რობერტო სორიანო

**უდინეზე-ვერონა**

უდინეზე: ***ტრავმ***-ლუის მურიელი

ვერონა: ***ტრავმ***-ბოშკო იანკოვიჩი, მურინ ობადი, ფრედერიკ სორენსენი

**პარმა-კალიარი**

პარმა: ***ტრავმ***-აბდელკადერ გეზალი, მასიმო კოდა, მატია კასანი, ჯონათან ბიაბიანი

კალიარი: ***ტრავმ***-სიმონე კოლომბი, მარკო საუ

**ჯენოა-რომა**

ჯენოა: ***ტრავმ***-როლანდო მანდრაგორა

რომა: ***ტრავმ***-სალიჰ უკანი, ვასილის ტოროსიდისი, ლეანდრო კასტანი

**ჩეზენა-ფიორენტინა**

ჩეზენა: ***ტრავმ***-გაბრიელ პერიკო, გვიდო მარილუნგო, ნიკო პულზეტი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მანუელ პასკუალი, ფედერიკო ბერნარდესჩი

**მილანი-ნაპოლი**

მილანი: ***ტრავმ***-მატია დე შილიო, სალი მუნტარი, იგნასიო აბატე, ალექსი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ინსინიე, მიკუ, ხუან ზუნიგა

**ემპოლი-ტორინო**

ემპოლი: ***ტრავმ***-ვინსენტ ლორინი, ტიბერიო გუარენტე

ტორინო: ***ტრავმ***-მარკო ბენასი, ანტონიო ნოჩერინო

**კიევო-ინტერი**

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

ინტერი: ***ტრავმ***-ერნანესი, ჯონათან მორეირა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 14 | 11 | 2 | 1 | 30-5 | 35 |
| რომა | 14 | 10 | 2 | 2 | 27-11 | 32 |
| ჯენოა | 14 | 7 | 5 | 2 | 20-12 | 26 |
| სამპდორია | 14 | 6 | 7 | 1 | 19-11 | 25 |
| ნაპოლი | 14 | 6 | 6 | 2 | 26-18 | 24 |
| ლაციო | 14 | 7 | 2 | 5 | 23-17 | 23 |
| მილანი | 14 | 5 | 6 | 3 | 23-18 | 21 |
| უდინეზე | 14 | 6 | 3 | 5 | 17-18 | 21 |
| ფიორენტინა | 14 | 5 | 5 | 4 | 16-11 | 20 |
| სასუოლო | 14 | 4 | 7 | 3 | 15-18 | 19 |
| პალერმო | 14 | 4 | 6 | 4 | 17-22 | 18 |
| ინტერი | 14 | 4 | 5 | 5 | 21-21 | 17 |
| ემპოლი | 14 | 3 | 6 | 5 | 16-21 | 15 |
| ატალანტა | 14 | 3 | 5 | 6 | 8-15 | 14 |
| ვერონა | 14 | 3 | 5 | 6 | 16-25 | 14 |
| კიევო | 14 | 3 | 4 | 7 | 11-17 | 13 |
| ტორინო | 14 | 3 | 4 | 7 | 10-17 | 13 |
| კალიარი | 14 | 2 | 5 | 7 | 20-26 | 11 |
| ჩეზენა | 14 | 1 | 5 | 8 | 11-25 | 8 |
| პარმა | 14 | 2 | 0 | 12 | 16-34 | 5 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.12 ვერდერი-ჰანოვერი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 13.12 აუგსბურგი-ბაიერნი | 9.0 | 4.8 | 1.35 |
| 13.12 ფრაიბურგი-ჰამბურგი | 2.45 | 3.4 | 2.8 |
| 13.12 შალკე-კიოლნი | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 13.12 ჰერტა-დორტმუნდი | 5.0 | 4.2 | 1.61 |
| 13.12 მაინცი-შტუტგარტი | 2.25 | 2.4 | 3.1 |
| 14.12 ლევერკუზენი-გლადბახი | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 14.12 ვოლფსბურგი-პადერბორნი | 1.4 | 5.0 | 7.0 |

**ვერდერი-ჰანოვერი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ლუდოვიკ ობრანიანი, ფრანკო დი სანტო, მარონ ბუში

ჰანოვერი: ***ტრავმ***-შტეფან ტესკერი, კრისტიან პანდერი, მარიუს სტანკევიჩუსი

**აუგსბურგი-ბაიერნი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ტიმ მატავზი, შოუ პარკერი, რონი ფილპი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ფილიპ ლამი, კლაუდიო პიზარო, დავიდ ალაბა, ჰოლგერ ბადშტურბერი, ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა

**ფრაიბურგი-ჰამბურგი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მაქსიმილიან ფილიპი, საშა რეიტერი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ვალონ ბეჰრამი, ჰაიკო ვესტერმანი, რენე ადლერი, ნიკოლაი მიულერი, მარსელ იანსენი

**შალკე-კიოლნი**

შალკე: ***ტრავმ***-კევინ-პრინს ბოატენგი, ფელიპე სანტანა, ჩინედუ ობასი, სიდნეი სამი, ჯოელ მატიპი, ჯულიან დრექსლერი

კიოლნი: ***ტრავმ***-კაზუკი ნაგასავა

**ჰერტა-დორტმუნდი**

ჰერტა: ***ტრავმ***-სანდრო ვაგნერი, ვალენტინ სტოკერი, ფაბიან ლუშტენბერგერი, სებასტიან ლანგკამპი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარკო როისი, სოკრატის პაპასტატოპულოსი

**მაინცი-შტუტგარტი**

მაინცი: ***ტრავმ***-ჯულიან ბაუმგარტლინგერი, კრისტოფერ მორიცი, იონას ჰოფმანი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-გეორგ ნიდერმაიერი, ვედად იბიშევიჩი

**ლევერკუზენი-გლადბახი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-კირიაკოს პაპადოპულოსი, შტეფან რეინარტცი

გლადბახი: ***ტრავმ***-მარტინ შტრანცლი

**ვოლფსბურგი-პადერბორნი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-არავინ

პადერბორნი: ***ტრავმ***-ტომას ბერტელსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 14 | 11 | 3 | 0 | 33-3 | 36 |
| ვოლფსბურგი | 14 | 9 | 2 | 3 | 28-13 | 29 |
| აუგსბურგი | 14 | 8 | 0 | 6 | 20-14 | 24 |
| ლევერკუზენი | 14 | 6 | 5 | 3 | 25-18 | 23 |
| შალკე | 14 | 7 | 2 | 5 | 25-18 | 23 |
| გლადბახი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-12 | 23 |
| აინტრახტი | 14 | 6 | 3 | 5 | 27-26 | 21 |
| ჰოფენჰაიმი | 14 | 5 | 5 | 4 | 21-22 | 20 |
| ჰანოვერი | 14 | 6 | 1 | 7 | 14-21 | 19 |
| პადერბორნი | 14 | 4 | 5 | 5 | 19-23 | 17 |
| მაინცი | 14 | 3 | 7 | 4 | 17-20 | 16 |
| კიოლნი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-20 | 15 |
| ჰამბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 9-18 | 15 |
| დორტმუნდი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-21 | 14 |
| ჰერტა | 14 | 4 | 2 | 8 | 19-26 | 14 |
| ფრაიბურგი | 14 | 2 | 7 | 5 | 15-21 | 13 |
| ვერდერი | 14 | 3 | 4 | 7 | 20-31 | 13 |
| შტუტგარტი | 14 | 3 | 3 | 8 | 18-31 | 12 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.12 ნანტი-ბორდო | 2.2 | 3.1 | 3.6 |
| 13.12 ბასტია-რენი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 13.12 რეიმსი-ევიანი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 13.12 ლორიანი-მეცი | 1.91 | 3.3 | 4.33 |
| 13.12 მონპელიე-ლანსი | 1.8 | 3.4 | 4.8 |
| 14.12 ნიცა-სტ.ეტიენი | 3.4 | 3.1 | 2.25 |
| 14.12 გენგამი-პსჟ | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 14.12 ლილი-ტულუზა | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 14.12 მონაკო-მარსელი | 2.5 | 3.2 | 2.9 |

**ნანტი-ბორდო**

ნანტი: ***ტრავმ***-იოან აუდელი, ვალენტინ რონიე

ბორდო: ***ტრავმ***-დიეგო კონტენტო, ემილიანო სალა, ანდრე ბიოგო პოკო

**ბასტია-რენი**

ბასტია: ***ტრავმ***-ფლოიდ აიტე, სებასტიან სკილაჩი, ხუან პაბლო პინო, ელ-ჰაჯი ბა

რენი: ***ტრავმ***-კამილ გროსიცკი

**რეიმსი-ევიანი**

რეიმსი: ***ტრავმ***-ომენუკე მფულუ, ნიკოლას დე პრევილე, ელინარ არატი, მადს ალბეკი, საშა ბასტიენი

ევიანი: ***ტრავმ***-ნიკოლას ბენეზეტი, იესპერ უელსგარდი, ჯონათან მენსა

**ლორიანი-მეცი**

ლორიანი: ***ტრავმ***-ჟილეს სუნუ, იან უფრე, ვალენტინ ლავინე, რაფიდინე აბდულა, მატიას ოტრე, ალან ტრაორე

მეცი: ***ტრავმ***-გვიდო მილანი

**მონპელიე-ლანსი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟოფრე იორდენი, ვიქტორ მონტანო

ლანსი: ***ტრავმ***-იოან ტუზა, ალარბი ელ იადეიაოუ, პაბლო ჩავარია, დემე ნდიაე, პატრიკ ფრადი

**ნიცა-სტ.ეტიენი**

ნიცა: ***ტრავმ***-მეთიუ ბოდმერი, დიდიე დიუგარი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ჯერემი კლემენტი, მევლუტ ერდინგი, ალან სანტმაქსიმი, ფრანსუა კლერკი

**გენგამი-პსჟ**

გენგამი: ***ტრავმ***-რონი შვარცი, რეინალდ ლემო, სილვიან მარვო, მამადუ სამასა

პსჟ: ***ტრავმ***-ჟან-კრისტოფერ ბაბეკი

**ლილი-ტულუზა**

ლილი: ***ტრავმ***-ფლორენტ ბალმო, მარკო ბაშა, მარკოს ლოპესი

ტულუზა: ***ტრავმ***-ოსკარ ტრეო, ვილიამ მეტიუ

**მონაკო-მარსელი**

მონაკო: ***ტრავმ***-რიკარდო კარვალიო, ჟოფრე კონდობია, ლავინ კურზავა

მარსელი: ***ტრავმ***-რომან ალესანდრინი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 17 | 12 | 2 | 3 | 36-15 | 38 |
| პსჟ | 17 | 10 | 7 | 0 | 32-12 | 37 |
| ლიონი | 17 | 10 | 3 | 4 | 32-17 | 33 |
| სტ. ეტიენი | 17 | 9 | 5 | 3 | 19-12 | 32 |
| ბორდო | 17 | 9 | 4 | 4 | 25-20 | 31 |
| რენი | 17 | 8 | 4 | 5 | 20-19 | 28 |
| მონაკო | 17 | 7 | 5 | 5 | 21-18 | 26 |
| მონპელიე | 17 | 7 | 3 | 7 | 18-16 | 24 |
| ნანტი | 17 | 6 | 6 | 5 | 15-15 | 24 |
| რეიმსი | 17 | 6 | 4 | 7 | 19-27 | 22 |
| ნიცა | 17 | 6 | 3 | 8 | 21-24 | 21 |
| ტულუზა | 17 | 6 | 2 | 9 | 21-25 | 20 |
| მეცი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-23 | 19 |
| ევიანი | 16 | 6 | 1 | 9 | 18-26 | 19 |
| ლილი | 16 | 4 | 6 | 6 | 11-15 | 18 |
| გენგამი | 17 | 6 | 0 | 11 | 18-30 | 18 |
| ლორიანი | 17 | 5 | 2 | 10 | 17-23 | 17 |
| ლანსი | 17 | 4 | 3 | 10 | 15-21 | 15 |
| კაენი | 17 | 3 | 5 | 9 | 21-28 | 14 |
| ბასტია | 17 | 3 | 5 | 9 | 13-22 | 14 |

# დინამოს მეექვსე სუპერთასი და გამარჯვების გოლით წასული ჩისკო

დინამო — ჩიხურა 1:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 ჩისკო (90)

58-ე წუთზე დონდაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)

დინამო: მიგინეიშვილი, კაკაბაძე, თოთაძე, ცინცაძე, ჯანელიძე (ჩირგაძე 67, პაპუნაშვილი, პარუნაშვილი, ლობჟანიძე (შერგელაშვილი 79), ჩისკო (პაპავა 90), გველესიანი, ჭანტურია

ჩიხურა: ქვილითაია, დონდაძე, ლ.ჭელიძე, ქიმაძე, სიხარულია (მუმლაძე 47), კორიფაძე, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე

საქართველოს სუპერთასზე თბილისის „დინამო“ და საჩხერის „ჩიხურა“ ერთმანეთს ზედიზედ მეორედ შეხვდნენ. თუ შარშან „ჩიხურამ“ 1:0 მოიგო, წელს „დინამომ“ ზუსტად იმავე ანგარიშით დაამარცხა იმერლები და 6 წლის შემდეგ სუპერთასს კვლავ დაეუფლა. ეს კი დინამოელთა მე-6 მოგებული სუპერთასია.

ბარემ თავიდანვე ვთქვათ, რომ „დინამოს“ ესპანელი ლეგიონერი ჩისკო მინდორზე უკანასკნელად გავიდა პროფესიონალი ფეხბურთელის სტატუსით და მის მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოიგო „დინამომ“ — კარიერის დასრულებაც ასეთი უნდა. დავძენთ იმასაც, რომ კარიერაში უკანასკნელად იმსაჯა მატჩის მთავარმა არბიტრმა ალექსანდრე კრიჭაშვილმაც.

მატჩი გუნდებმა ფრთხილად დაიწყეს, „ჩიხურამ“ მეორე ნომრად ირჩია ყოფნა, მაგრამ დინამოელები სერიოზულს ვერაფერს ქმნიდნენ, ხოლო საჩხერელები ბედს იშვიათ შეტევებში უშედეგოდ ეძებდნენ. ასე გაილია 45 წუთი.

მეორე ტაიმიც იგივე სცენარით დაიწყო, მაგრამ მოულოდნელად თამაში შეცვლაზე შესულმა თორნიკე მუმლაძემ გაამწვავა, რომელიც დინამოელთა საჯარიმოში შეიჭრა და ნიკა ჭანტურიამ წააქცია. კრიჭაშვილმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, მაგრამ თემურ დონდაძემ ბურთი კარს გადააცილა.

დინამო“ მეტს ფლობდა ბურთს და უფრო უკეთესად გამოიყურებოდა. პაპუნაშვილმა მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ ქვილითაიამ ხელებში შეიმაგრა ბურთი.

მალევე ცინცაძემ საჯარიმო სახიფათოდ შეასრულა და ქვილითაიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია. იქვე პაპუნაშვილის გარღვევისა და დარტყმის მერე, ქვილითაიამ ბურთი ვერ შეიმაგრა და შემდეგ, დამატებაზე მყოფი ლობჟანიძის დარტყმულის მოგერიება მოუწია.

მატჩის მიწურულს „დინამო“ გადარჩა — მუმლაძე საჯარიმოში მარცხნიდან შეიჭრა და ბურთი შორეულ კუთხეში მოხდენილი დარტყმით გაგზავნა — თბილისელები ხარიხამ იხსნა.

„დინამომ“ შერგელაშვილის სახიფათოდ შესრულებული ჯარიმით უპასუხა — კარისკენ მიმავალი ბურთი გზად საჩხერელ ფეხბურთელს შეეხო, ქვილითაია უშანსოდ დარჩა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, კარს ასცდა.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი, ცინცაძემ მეტოქის საჯარიმოში მარჯვნიდან ჩააწოდა, კაშიამ ბურთი ცუდად მოიგერია, ქვილითაიაც წინ იყო გამოსული და ჩისკომ თავით ყველას გადაავლო ბურთი — 1:0.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები


● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების – სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში.თუ განკურნებისთვის მზად ხართ,დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმი ყველანაირი გართულების მოხსნით და ღვიძლის გაწმენდით, „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“. პრეპერატი შეგიძლიათ ფარულად საკვებში შეურიოთ,. თამბაქოს მწეველობის მიტოვება (ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან) ნეტუროპათიითა და ფიტოთერაპიით. გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 599-65-43-66; 557-14-22-36 ნინო ექიმი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, სამტრედიის 50-ში, შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ნუ გადადებთ ზაფხულისთვის. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.


# „მანდარინები“ ოქროს გლობუსზეა წარდგენილი

ეკა ირემაშვილი

ქართველი რეჟისორის ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ „ოქროს გლობუსზეა“ წარდგენილი. სურათი ამ პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონიალზე ესტონურმა მხარემ წარადგინა. ქართულ-ესტონური ფილმი ნომინაციაში უცხოენოვანი ფილმი გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

ინფორმაციას ამის შესახებ თავად რეჟისორი ავრცელებს და აცხადებს, რომ ეს თითოეული ქართველისთვის უდიდესი წარმატებაა. „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოების ორგანიზატორებმა უკვე გამოაცხადეს იმ კანდიდატთა ვინაობა, ვინც ამ პრესტიჟული ჯილდოს მოპოვების რეალური კანდიდატი გახდა. ჩამონათვალში ზაზა ურუშაძის მანდარინებიცაა.

თავდაპირველად „ოქროს გლობუსზე“ ორი ქართული ფილმი იყო წარდგენილი ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ და გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“. „ოქროს გლობუსის“ მესვეურებმა საბოლოო შედეგები გამოაცხადეს და „სიმინდის კუნძული“ ჩამონათვალში ვერ მოხვდა.

ოქროს გლობუსს ოსკარების გენერალურ რეპეტიციასაც უწოდებენ, ამიტომაც აქ გამარჯვება ოსკარების დაჯილდოების ცერემონიალზე გამარჯვებასაც ნიშნავს. „მანდარინები“ არაერთი პრესტიჟული კინოფესტივალის გამარჯვებულია. ფილმს უკვე აქვს 21 ჯილდო მოპოვებული და ახლა მთავრის მოლოდინშია. ოქროს გლობუსის ნომინაციებში წარდგენილ ფილმებს შორის ზაზა ურუშაძის ნაშრომის აღმოჩენის შემდეგ, უკვე ნომინაციაში გამარჯვების და პრიზის მოპოვების ჯერია.

„ოქროს გლობუსის“ მერე კი „მანდარინებს“ ოსკარის დაჯილდოების ცერემონიალი ელოდება, სადაც ზაზა ურუშაძის ნამუშევარი ესტონურმა მხარემ წარადგინა საუკეთესო უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაში.

„ყველაფრით უკმაყოფილოების საყურადღებოდ! ახლა აღარაა მაგის დრო, მაგრამ მაინც განვმარტავ: „მანდარინები“ ესტონეთმა იმიტომ წარადგინა ოქროს გლობუსზე და ოსკარზე, რომ ცოტა უფრო მეტი დაფინანსება იყო ესტონური, შესაბამისად, მთავარი პროდიუსერიც ესტონური მხარიდან არის. თუმცა, რეჟისორი ქართველია, ისტორია ქართულია, 2 მთავარი გმირი ქართველია და ფილმი გადაღებულია საქართველოში ეროვნული კინოცენტრის სუბსიდიით. ფილმში ქართული და ესტონური მხარის გარდა, ასევე „ევრიმაჟის“ ფინანსური წვლილიც არის. მგონი, საკმარისი მიზეზია, რომ ძალიან გაგვეხარდეს, თუმცა დასკვნა ერთია, ქართულ კინოს მეტი დაფინანსება სჭირდება,“ — განაცხადა ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელმა ნინია ახვლედიანმა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მონაწილეობს „მანდარინები“ ოქროს გლობუსში ესტონეთის სახელით.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიოში საკმაოდ პრესტიჟულ კინოფესტივალზე „მანდარინები“ და „სიმინდის კუნძული“ ერთად ხვდება. ზაზა ურუშაძისა და გიორგი ოვაშვილის ნამუშევრები ერთმანეთს ოსკარების დაჯილდოების ცერემონიალზეც შეხვდებიან, სადაც ორივე ფილმი უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაზეა წარდგენილი. „მანდარინებიც“ და „სიმინდის კუნძულიც“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. „მანდარინები“ ვარშავის ა კლასის კინოფესტივალის ტრიუმფატორი გახდა, „სიმინდის კუნძულს“ კი კარლოვი ვარის კინოფესტივალის მთავარი პრიზი მიენიჭა. ზაზა ურუშაძის „მანდარინებმა“ რამდენიმე დღის წინ ეგვიპტეში საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა გამარჯვება. ფილმი ჟანრობრივად დრამაა. მისი სიუჟეტი ვითარდება აფხაზეთის ომის პერიოდში, თუმცა ფილმში არ არის ასახული ომის სცენები. მასში მოთხრობილია აფხაზეთში მცხოვრები ესტონელების შესახებ. ომის დროს ესტონეთის ხელისუფლებამ აფხაზეთიდან იქ მცხოვრები ესტონელები გაიყვანა, მაგრამ რამდენიმე მათგანმა თავისი სურვილით არჩია აფხაზეთში დარჩენა. ფილმში აღწერილია ერთ-ერთი ესტონელის სახლში მოხვედრილი დაჭრილი ქართველი და ჩეჩენი ჯარისკაცების ურთიერთობა.



ზაზა ურუშაძემ ფილმი შარშან გადაიღო და მასში მონაწილეობენ მიხეილ მესხი, გიორგი ნაკაშიძე, ლემბიტ ულფსაკი და ელმო ნიუგანენი. მუსიკა ფილმისთვის ნიაზ დიასამიძემ დაწერა, მასში ირაკლი ჩარკვიანის „ქაღალდის გემის“ საუნდტრეკი ჟღერს. სპეციალურად ამ გადაღებებისთვის გურიაში, ნატანებში აშენდა სოფელი და იქ შედგა გადაღებები. „მანდარინები“ გახდა ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის ორი ნომინაციის „საუკეთესო რეჟისურისა“ და „აუდიტორიის ჯილდოს“ გამარჯვებული. მან ასევე მიიღო ესტონეთის კინოჟურნალისტთა ჯილდო და მანჰაიმ-ჰაიდელბერგის საერთაშორისო კინოფესტივალის სამი პრიზი, სპეციალური ჯილდო იგივე „ფასბინდერის სახელობის პრიზი“, მაყურებლის პრიზი და პრიზი კინოთეატრების წარმომადგენლებისთვის ერგო. კინოფესტივალის ორგანიზატორების თქმით, ფილმმა მანჰაიმ-ჰაიდელბერგის სპეციალური პრიზი დაიმსახურა იმისთვის, „თუ როგორ გადმოსცა ერთმანეთის გაგების, ერთმანეთის მიმართ ტოლერანტულობის, ერთმანეთის ცხოვრების გაცნობის შესახებ ამბავი“. ჟიურიმ ასევე აღნიშნა ფილმში მონაწილე სამი მთავარი მსახიობის ოსტატობაც. „რაინერ ვერნერ ფასბინდერის სახელობის სპეციალური პრიზი“ 1993 წლიდან გაიცემოდა. ის ფასბინდერის სახელობის ფონდთან თანამშრომლობით იყო დაწესებული, რომელსაც აქვს სამართლებრივი უფლება ფასბინდერის სახელის გამოყენებისა. შარშან ამ შეთანხმების ვადა ამოიწურა, ფონდმა კი არ ისურვა ამ ხელშეკრულების გაგრძელება. ფასბინდერის სახელობის პრიზი ნამჰაიმ-ჰაიდელბერგის პრიზმა შეცვალა. „პრიზი კინოთეატრების წარმომადგენლებისთვის“ გულისხმობს ჟიურის წევრების რეკომენდაციას, რომ კინოთეატრებმა გაქირავებაში მიიღონ დაჯილდოებული ფილმი.

რაც შეეხება ოსკარზე წარდგენილ მეორე ქართულ ფილმს, რომელიც ასევე „ოქროს გლობუსის“ ნომინაციებში მოსახვედრად იბრძოდა, გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“, ის ფსიქოლოგიური დრამაა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ბრძოლაზე, ჩაკეტილი სივრცის გარღვევის სურვილსა და სიყვარულის ისტორიაზე. ფილმში მთავარ როლებს ცნობილი თურქი მსახიობი ილიას სალმანი და არაპროფესიონალი დამწყები მსახიობი მარიამ ბუთურიშვილი ასრულებენ, რომელიც რეჟისორმა სოციალური ქსელის მეშვეობით იპოვა და ფილმში მთავარ როლზეც დაამტკიცა. ფილმის კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილია. გიორგი ოვაშვილის 100 წუთიანი დრამა ხელოვნურად შექმნილ კუნძულზეა გადაღებული. „სიმინდის კუნძული“ ფსიქოლოგიური დრამაა. ფილმში მოქმედება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბუნებრივ საზღვარზე, მდინარე ენგურზე ვითარდება. მდინარეში წყალდიდობის დროს წარმოქმნილ კუნძულზე მოხუც გლეხს სიმინდი მოჰყავს. მოგვიანებით კუნძულზე ქართველი მესაზღვრე ჩნდება, რომელიც მოხუცის და მისი 16 წლის შვილიშვილი გოგონას ერთი შეხედვით იდილიურ ცხოვრებას არღვევს. „სიმინდის კუნძულის“ ბიუჯეტმა 1,5 მილიონი ევრო შეადგინა. პროექტმა თავიდანვე დააინტერესა საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდის ევრიმაჟის დაფინანსებაც მოიპოვა. შესაბამისად, ქართულ მხარესთან, კონკრეტულად კი ეროვნულ კინოცენტრთან ერთად, ფილმის დაფინანსება საკუთარ თავზე რამდენიმე ქვეყანამ აიღო. საბოლოო ჯამში, ფილმი 6 ქვეყნის საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ყაზახეთის და უნგრეთის კო-პროდუქციაა.

,,ტყიბულის წყალსაცავში კუნძულის აშენება რთული იყო, ამის გამოცდილება არავის არ ჰქონდა. წარმოიდგინეთ, ევროპაშიც ვერ მოვიძიეთ კომპანია, რომელიც კუნძულს ააშენებდა, ვერავინ აიღო ეს პასუხისმგებლობა... ამას ვერ შევძლებთ, ხელოვნური კუნძული დაიშლება, ჩაიძირება, ვერ გავაჩერებთ ამ სიღრმე წყალშიო, გვეუბნებოდნენ. უცბად გამოჩნდა მშენებელი თემურ ალბექიონი, რომელმაც თქვა, მე ამას გავაკეთებ, თქვენ ადგილი მაჩვენეთო. ამისთვის ფანტასტიკური ტექნიკური სამუშაოები ჩატარდა. ჩვენ არ ვიცოდით რა გამოვიდოდა, სამაგიეროდ ვიცოდით, რა გვინდოდა, ამიტომ მაინც ვაკეთებდით,“ — ამბობს ფილმის რეჟისორი.

გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორია. ფილმმა კარლოვი ვარის 49-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე გრანპრი „ბროლის გლობუსი“ მიიღო. მთავარ პრიზს ახლავს ფულადი ჯილდოც 25.000 ამერიკული დოლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 145.140 ლარი აშშ-ში ფილმის „სიმინდის კუნძული“ პიარკამპანიის საწარმოებლად დაიხარჯება.

# კონსერვატორიიდან სტუდენტებს ყრიან

ეკა ირემაშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიიდან სტუდენტებს ყრიან. ამის შესახებ ინფორმაცია კონსერვატორიის რექტორმა რეზო კიკნაძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა და კონსერვატორიის პედაგოგებს მოუწოდა, შეწყვიტონ ასეთი ქმედებები:

„ძვირფასო სტუდენტებო, პროფესორებო, თანამშრომლებო, კოლეგებო, აქამდეც მსმენია კანტიკუნტად, მაგრამ ბოლო დროს მთელი სიმწვავით დამანახეს ერთი უხერხული სიტუაცია, რომლის ასე გაგრძელება დაუშვებლად მიმაჩნია: კონსერვატორიაში კლასების ნაკლებობა და სტუდენტების სიმრავლე ნაცნობია ყველასთვის... ამ გაჭირვების ფონზე თურმე კონსერვატორიის პედაგოგებიც და კონცერტმაისტერებიც მთელ თავის მოწაფეებს, დიდებს თუ პატარებს, აქაურ კლასებში ამეცადინებენ. უფრო მეტიც, სრულიად ჩვეულებრივ ამბად გამხდარა ყოვლად აღმაშფოთებელი რამ: პედაგოგს შეუძლია გამოაძევოს სტუდენტი, კლასში რომ მეცადინეობს, თვითონ შეიყვანოს თავისი კერძო, არა კონსერვატორიის სტუდენტი მოწაფე და აზრადაც კი არ მოუვიდეს, რომ ლახავს სტუდენტის ფუნდამენტურ უფლებას, იმედოვნებს თავის სასწავლებელში და მხოლოდ თავისთავ სტუდენტებთან ჰქონდეს კონსერვატორიის ოთახები საზიარო. მესმის, რომ უფრო კომფორტულია ყველა მოწაფის ერთ დღეს და ერთ ადგილას მიღება და გასტუმრება, მაგრამ კონსერვატორიის უკლასო და გაჭედილ სიტუაციაში ამის კეთება ხომ ნიშნავს, რომ სტუდენტმა ვერ გამოიყენოს ვერც ერთი თავისუფალი საათი ლექციებს შორის, „ფანჯარა“ აივანზე უსაქმურობაში ან ქუჩაში ყიალში გაატაროს, ან, სულაც სახლში დარჩეს და ლექციები აცდინოს, სპეციალობა მაქვს სამეცადინო, კონსერვატორიაში კი კლასები არ არისო... ძვირფასო პედაგოგებო, უმორჩილესად გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს სიძნელე, ამ „უკლასობაში“ რომ გაგვჩენია და არ შეუმციროთ სტუდენტებს ისედაც მცირე სამეცადინო საათები, ხოლო მათ კლასიდან გამოძევებას კი საერთოდ ბოლო უნდა მოეღოს, ეს დაუშვებელია.

